პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ა/კ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
18
ოქტომბერი
1935 წ.
№ 243 4399

დღეს ნომერში

— ამხანაგი სტალინი ტფილისში.
— სოციალიზმის კადრები (მეთაური).
— დ. ვადაჭკორია — ჩვენი ორგანიზატორი და ბელადი.
— ექ. ავალიანი—შირიაევისა — ამხ. სტალინი ბათომში 1902 წელს.
— 20 წელი ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან.
— იტალია - აბისინიის ომი.
— ცნობები იტალია-აბისინიის ომის ჩრდილოეთ ფრონტიდან.
— ნანკინის ჯარების მე-110 დივიზიის განადგურება.
— ოსტინ ჩემბერლენის ინტერვიუ „პარი სუარის" კორესპონდენტთან.
— მონღოლეთ - მანჯურიის მოლაპარაკება.

სოციალიზმის კადრები

მარქსი „კაპიტალის" ფურცლებზე შემაძრწუნებლად ასურათებს ადამიანთა სულიერ და ფიზიკურ განადგურებას, მათ იმ შიმშილსა და გალატაკებას, კაპიტალიზმს რომ მოჰყვა. მშრომელთა მილიონების ჩონჩხზე აღიმართა კაპიტალიზმის ბინძური სხეული, იგი მათ სისხლში ამოისვარა. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო და არის იმ საზოგადოებაში, სადაც „ადამიანი ადამიანისთვის მგელია", სადაც ზედმეტი ღირებულების, კაპიტალისტური კონკურენციის სტიქიური კანონი ბატონობს განუსაზღვრელად.

კაპიტალიზმის განთიადის საშინელებანი მონაგონია ყველა იმ უბედურებასა და ვაებასთან, რომელიც მოაქვს კაპიტალიზმის „მზის ჩასვენების" — იმპერიალიზმის პერიოდს. განსაკუთრებით დღევანდელ, ლპობად კაპიტალიზმზე შეიძლება ითქვას მარქსის სიტყვები, რომ კაპიტალიზმის სხეულის ყველა ნასვრეტიდან ადამიანთა სისხლი მოჟონავს! იმპერიალიზმის ეპოქაში „გაპიროვნებული კაპიტალი" ბევრად უფრო მოხერხებულად ცდილობს დამარხოს ადამიანთა მილიონების ნიჭი, უნარი, შემოქმედება. აქ იგი ხელში ოსტატურად იმარჯვებს მშრომელთა ძარცვის, დაკნინებისა და განადგურების სრულყოფილ, „ცივილიზებულ" სისტემას, სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ყოველგვარ მხეცურ საშუალებას.

ხალხთა სისხლმღვრელი ომები, ფაშისტური ბარბაროსობა, დაუსრულებელი და გამანადგურებელი კრიზისები მუდმივ უმუშევართა მრავალმილიონიანი არმიით, ტექნიკური პროგრესის შენელება - შეფერხება, ხშირად დაცემა, გარდა ადამიანთა საჟლეტი სამარი ტექნიკისა, და მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარების გზის აღკვეთა—აი იმპერიალიზმის უკანასკნელი სიტყვა, მისი მიღწევა!

კაპიტალისტურმა გერმანიამ, ინგლისმა, ამერიკამ, მთელმა ბურჟუაზიულმა მსოფლიომ მასობრივი მაგალითი იცის, როცა სამუდამოდ დამარხულა იშვიათი ტალანტი, რომელიც ხალხში წარმოშობილიყო, წამოეყო თავი, მაგრამ... მერე სამუდამოდ ჩამკვდარა, ბნელი ცხოვრების ფსკერზე დაძირულა.

მილიონთა ციხე, მათი აზრის „უნუღლოვანი საფლავი" იყო მეფის რუსეთი. მის სამარისებურ უდაბურებში, რომელიც ევროპასაც კი სწვდებოდა, დაიმარხა ჩერნიშევსკის გენიოსობა, რადიოტელეგრაფის და თანამედროვე მედიცინის მამამთავრების —პოპოვისა და მეჩნიკოვის ნათელი შუბლი. ძველი რუსეთის კაპიტალიზმის ჟანდარმული ქუსლი, დაცინვა და დამცირება იყო თვითმპყრობელობის პასუხი მიჩურინის და ციოლკოვსკის ტალანტიანი სისწრაფისა.

კაპიტალიზმი ოვალთმაქცურად ფიცულობდა და ფიცულობს ჰუმანიზმის მზეს. ნამდვილად მისი ჰუმანიზმი ნიშნავს ადამიანთა გადაქცევას ზარბაზნის ცოცხალ ყუმბარად. მილიონთა სხეულიდან ამოწუწნილი მოგების მაღალ ნორმას, საზოგადოების უმრავლესობის გალატაკებას, შიმშილობასა და უბედურებას საზოგადოების უმნიშვნელო, ერთიმუჭა უმცირესობის ბედნიერებისათვის. ეს ჰუმანიზმი იქმნება ბირჟაზე და იქვე ჰქრება! ბურჟუაზიისათვის ჰუმანურია ყველაფერი, რაც მოგების ნორმის გადიდებას უწყობს ხელს, რაც ამ „მიზანთა მიზანს" ემსახურება. და ყველაზე ძვირფასი კაპიტალიც მისთვის არის მოგება, ფული—მშრომელთა სისხლში ამოვლებული ბრჭყვიალა ოქრო. ადამიანი მისთვის მხოლოდ დიდი მოგების მისაღწევი იარაღია, არც მეტი, არც ნაკლები. აი, როგორ გამოიყურება ნიღაბახდილი, გაშიშვლებული ბურჟუაზიული ჰუმანიზმი.

ნამდვილი, ადამიანური, საკაცობრიო ჰუმანიზმი მხოლოდ სოციალიზმს მოაქვს. საბჭოთა კავშირის მაგალითი ნათლად მოწმობს ამას.

სოციალიზმი—ეს არის ადამიანთა ბედნიერება, ეს არის მშობლიური ზრუნვა მილიონებზე, კადრებზე, მათ გამოჭედვაზე, მათ დაწინაურებაზე, მათ აწმყოსა და მომავალზე. და გასაგებია, თუ მსოფლიოში არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა პარტია, სხვა ხელისუფლება, რომელიც ზრუნავდეს ადამიანებზე, კადრებზე, მილიონებზე, როგორც ზრუნავს სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი ლენინურ - სტალინური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

დიდი ბელადის ნათელ სიტყვებში რელიეფურადაა გამოკვეთილი ეს ბრძნული აზრი: „ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას არ გააჩნია სხვა ინტერესები და სხვა საზრუნავი, გარდა იმისა, რომელიც ხალხს აქვს".

სოციალიზმის ბურჟუაზიული წარმოდგენა ცდილობს დახატოს სოციალიზმი, როგორც ერთფეროვანი, უშინაარსო, უხალისო საზოგადოება, სადაც თითქოს კვდება ინდივიდი, ისპობა პიროვნების თავისუფლება, შემოქმედებითი უნარი, ნიჭის გაქანება. ეს არის სოციალიზმის ბურჟუაზიული კარიკატურა, რომელსაც აბსოლუტურად საერთო არაფერი აქვს მეცნიერულ სოციალიზმთან. „თავით ბოლომდე სიყალბეა ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წარმოდგენა — სწერს ლენინი „სახელმწიფოსა და რევოლუციაში", — თითქოს სოციალიზმი იყოს რაღაც მკვდარი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ, მაშინ როდესაც ნამდვილად მხოლოდ სოციალიზმიდან იწყება ნამდვილი, სწრაფი, მართლაც მასობრივი მოძრაობა წინ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში. მოძრაობა, რომელშიაც მონაწილეობს მოსახლეობის უმრავლესობა, ხოლო შემდეგ მთელი მოსახლეობა".

და მართლაც, საბჭოთა კავშირში მილიონები მიისწრაფვიან წინ, სოციალისტური ცხოვრების გზით. სოციალიზმის კადრები იფურჩქნებიან და ჰყვავიან საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ ბაღნარში. მათ თავს დასტრიალებს და უვლის ისეთი გამოცდილი, ერთგული მებაღე, როგორიც ჩვენი მშობლიური პარტია და დიდი სტალინია. პარტიის ლენინური მზრუნველობით, მეთაურობით, ხელმძღვანელობით, სტალინის წინამძღოლობით, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა შესძლეს უმოკლეს ვადაში ჩაეყარათ სოციალიზმისთვის გრანიტის საძირკველი, გაევლოთ და გაეგრძოთ სოციალიზმისათვის ბრძოლის გმირული გზა. ამ გზაზე შევქმენით სოციალიზმის მაღალი კლასის ტექნიკა.

ახლა საქმე ის ადამიანებია, რომლებიც ბოლშევიკურად დაეუფლებიან ამ ტექნიკას, შეკაზმავენ მას, ახლა საქმე ადამიანების მოვლა, სოციალიზმის კადრების დაფასება, მათი ზრუნვაა; ეს არ არის შემთხვევითი ლოზუნგი, ეს სოციალიზმის ეპოქის ლოზუნგია, ეპოქის, რომელიც წინსვლის უსაზღვრო, ფართო გზას უხსნის მშრომელთა მილიონებს, გამოჰყავს ისინი. ლენინის უკვდავი სიტყვებით რომ, ვთქვათ, „მუშაობის ისეთ ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ თავი გამოიჩინონ, თავიანთი თვისებები გაშალონ და განავითარონ, ტალანტი გამოამჟღავნონ".

სოციალიზმის კადრები მშრომელთა მილიონებია, ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები არიან, რომელთაც ათბობს სოციალიზმის მცხუნვარე მზე. ეს მზე ალვივებს და აღმოაცენებს ჩვენი სამშობლოს სოციალისტური ბაღნარის ყოველი ბუჩქის —თვითეული ადამიანის — ინდივიდუალურ ნიჭს და უნარს. იგი გზას უხსნის ყველას შეუზღუდველი, მრავალფეროვანი, შინაარსით მდიდარი განვითარებისაკენ.

სოციალიზმის ცხოველმყოფელ სხივებს გამოჰყავს მშრომელი ხალხიდან ჩვენი დიადი სამშობლოს ისეთი ძვირფასი ადამიანები, სოციალიზმის რკინის კადრები, როგორიც არიან იზოტოვი და ლევანევსკი, მსოფლიო სტრატონავტი პროკოფიევი და მაღაროელი სტახანოვი. ეს მზე უხსნის გზას კოლმეურნეს და მაღაროელს აკადემიებისაკენ, ხალხის ნამდვილ შვილებს—მეცნიერებისაკენ. ეს არის ახალი, საბჭოთა ადამიანის ღაუსრულებელი ლტოლვა წინ და ზევით, მეცნიერების და კულტურის მსოფლიო მწვერვალებისაკენ. ეს არის ნამდვილი ზრუნვა კაცობრიობის ყველაზე უძვირფასეს და გადამწყვეტ კაპიტალზე—ადამიანზე, მშრომელთა მილიონებზე, რომლებიც ოქტომბრის პროლეტარულმა რევოლუციამ დასძრა საზოგადოების ფსკერიდან და მძლავრად გააქანა, ისტორიული პროგრესის გზით.

სოციალიზმის ქვეყანაში იბადება კაცობრიობის ნამდვილი ისტორია. იგი იბადება ადამიანთა ბედნიერებისათვის, მათი ყოველმხრივი, შეუზღუდავი განვითარებისათვის. მზიურს, ლაღს, წარმტაც ცხოვრებას თვით ადამიანები, სოციალიზმის ძვირფასი კადრები სჭედენ. მას სჭედს მასის უმრავლესობა, რომლის წიაღიდან გამოდიან სოციალიზმის ეპოქის შესანიშნავი გმირი ადამიანები, ნამდვილი ტალანტები, ყოველმხრივ განვითარებული, შეუზღუდველი ადამიანები, რაზედაც ოცნებობდნენ მეცნიერული სოციალიზმის მამათავრები. მათი ოცნების განხორციელების შესაძლებლობა აუცილებლობად აქცია დიდმა ლენინმა, და ამ ოცნებას ხორცს ასხამს დიდი სტალინი.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ყაზემი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან სადარბაზოდ

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. 16 ოქტომბერს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ყაზემი მიიღო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა.

დარბაზობაზე იყვნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობათა დროებითი აღმასრულებელი ამხ. ნ. ნ. კრესტინსკი და ირანის საქმეთა რწმუნებული ბ-ნი საედი.

საუბრის შემდეგ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნი ყაზემის პატივსაცემად საუზმე გამართა. საუზმეზე, გარდა დასახელებულ პირთა, იყვნენ ამხანაგები: ი. ე. რუძუტაკი, ი. ბ. გამარნიკი, ი. ლ. პიატაკოვი, ა. პ. როზენგოლცი, გ. ფ. გრინკო, ი. ი. ვეიცერი, ა. ს. ბუბნოვი, ი. ა. აკულოვი, ნ. ა. ბულგანინი, პ. მ. კერჟენცევი და სხ.

საუზმის დროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-ნმა ყაზემიმ ერთმანეთს სიტყვით მიმართეს. (ადს).

ბ-ნი ყაზემი თეირანს გაემგზავრა.

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. 16 ოქტომბერს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ყაზემი თეირანს გაემგზავრა ცოლითურთ. (ადს).

ამხანაგი სტალინი ტფილისში

ჩვიდმეტ ოქტომბერს დილით ამხანაგი ი. სტალინი ჩამოვიდა ტფილისში თავისი დედის სანახავად.

ამხანაგმა სტალინმა დედასთან მთელ დღეს დაჰყო და ჩვიდმეტ ოქტომბერს ღამით მოსკოვს გაემგზავრა. (ადს)



იტალია-აბისინიის ომი

ლონდონი, 16 ოქტომბერი. აბისინიაში სამხედრო ცენზურის შემოღების გამო ადის-აბებიდან ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოდის. „მორნინგ პოსტის" ადისაბებელმა კორესპონდენტმა პროტესტი განაცხადა ცენზურის შემოღების წინააღმდეგ.

იტალიის ერთი თვითმფრინავი მიფრინავდა ერერისა და გოტას რკინიგზის სადგურებზე, დირე-დაუას დასავლეთით, და, როგორც ფიქრობენ, ცდილობდა აღმოეჩინა იტალიის თვითმფრინავი, რომელიც ამ რაიონში უკვალოდ დაიკარგა.

რაზმმა რას კასას სარდლობით ორ ადგილას კონტაქტი დაამყარა რას სეიუმის ძალებთან. რას კასას ჯარების მარჯვენა ფრთამ მიაღწია ალაგის რაიონს, მარცხენა ფრთამ გადალახა მდინარე ტაკაზე და დაიჭირა პოზიცია, საიდანაც იგი შესძლებს შეაკავოს იტალიის ჯარები, რომლებიც აქსუმ-ადუადან უტევენ.

ბერბერიდან (ბრიტანეთის სომალის მთავარი ქალაქია) მიღებული ცნობით, ჯიჯიგაში ოგადენის ფრონტიდან ჩაუყვანიათ დაჭრილ აბისინელთა პირველი პარტია. დაჭრილთა შორის მრავალი მოწამლულია მხამიანი გაზებით. (ადს).

☐ ☐ ☐

იტალიის ჯარების გაგზავნა ლივიაში

ვენა, 16 ოქტომბერი. „იუნაიტედ პრესის" სააგენტო რომიდან იუწყება: აბისინიაში იტალიის ჯარების გაგზავნასთან ერთად დიდი სამხედრო ნაწილები იგზავნება ლივიაში. ამ დღეებში ლივიაში გაიგზავნა 17 ათასი კაცისგან შემდგარი დივიზია და მრავალი ყუმბარმზიდი. ამჟამად ლივიაში იტალიელთა 50 ათასიანი ჯარია. სააგენტო ხაზს უსვამს, რომ იტალიის პრესა განგებ არაფერს ამბობს ლივიაში ჯარის გაგზავნის შესახებ. (ადს).

☐ ☐ ☐

ცნობები იტალია-აბისინიის ომის ჩრ. ფრონტიდან

რომი, 16 ოქტომბერი. აბისინიის ჩრდილოეთ ფრონტიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მდინარე სეტიტის (აბისინიის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ერიტრეასთან) გასწვრივ აბისინელებმა არაერთხელ მიიტანეს იერიში იტალიელთა ფრონტის გასარღვევად, მაგრამ იტალიელებმა ისინი მოიგერიეს. აბისინელები ძალიან დაზარალდნენ. იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მაკალეს სამხრეთით მდებარე რაიონს. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამბა-ალაგის მთის მახლობლად იტალიის თვითმფრინავთა ესკადრილია, რომელშიაც მუსოლინის ორი ვაჟი იმყოფება. ყუმბარებს უშენდა აბისინელთა ბანაკებს (ადს).

☐ ☐ ☐

ოსტინ ჩემბერლენის ინტერვიუ „პარი სუარის" კორესპონდენტთან

პარიზი, 16 ოქტომბერი. ინგლისის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსტინ ჩემბერლენმა გაზეთ „პარი სუარის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„ინგლისის საზოგადოებრივი აზრი იშვიათი ერთსულოვნობით მოეპყრო იტალია - აბისინიის კონფლიქტს. არავის სურდა და არც სურს იტალიას წაეჩხუბოს. მაგრამ პასივობის გამოჩენა იქნებოდა არა მარტო აბისინიის განწირვა, არამედ იმ პრინციპის განწირვაც, რომლის თანახმადაც ხალხთა ურთიერთობა საერთაშორისო კანონიერების საფუძველზე უნდა წესრიგდებოდეს.

ერთა ლიგის წესდების დასაცავად ინგლისი მზად არის მიიღოს მონაწილეობა ყველა აუცილებელ ღონისძიებაში, როგორიც უნდა იყოს მათი ხასიათი".

ჟურნალის მითითებაზე, რომ ლავალმა უკვე განაცხადა. საფრანგეთი სამხედრო სანქციებში მონაწილეობას არ მიიღებსო ჩემბერლენმა უპასუხა:

„ჩვენ გვაკვირვებს, ჩვენ გვაღონებს საფრანგეთის მერყეობა და ეგოისტური ზრუნვა, რომელიც ახასიათებს საფრანგეთის ხაზს ამ საქმეში. ინგლისის პასუხი კითხვაზე — მზად არის თუ არა იგი დაიცვას ერთა ლიგის წესდება და შეასრულოს ყველა ვალდებულება, ეჭვებს არ სტოვებს, მაშინ, როცა საფრანგეთის პასუხი ნათელი არ არის".

ჟურნალისტის შენიშვნაზე, რომ საფრანგეთში არსებობს აზრი, ვითომ, ინგლისის დაჟინება სანქციების გამოყენების საკითხში გამოწვეული იყოს ინგლისის ინტერესებზე ზრუნვით, — ჩემბერლენმა სთქვა:

„რა თქმა უნდა, ნილოსის სათავეების საკითხს სუდანისა და ეგვიპტისათვის სასიცოცხლო ინტერესი აქვს, მაგრამ ამის გამო მუსოლინი ხომ დამამშვიდებელი განცხადებებით გამოვიდა. იტალიას ამჟამად ასულდგმულებს ის იდეები და იგი მიმართავს იმ მეთოდებს, რომლებიც არსებობდნენ და, რომლებსაც ჩვენ მივმართავდით ომამდე. ეს არის იდეები და მეთოდები, რომლებზეც ჩვენ საჯაროდ ავიღეთ ხელი, როცა ერთა ლიგის წესდებას და კელოგის პაქტს ხელი მოვაწერეთ". ჩემბერლენის სიტყვით, „უახლოეს რამდენიმე კვირას დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ ერთა ლიგის წესდება გაიმარჯვებს, ჩვენი რწმენა ლიგისადმი გაიზრდება და ინგლისისათვის შეიქმნება პრეცენდენტი, რომელიც განსაზღვრავს მის მოქმედებას მომავალ კონფლიქტებში. ხოლო თუ დანარჩენი სახელმწიფოები, რომელთაც ლიგის წესდებას ხელი მოაწერეს, რომელთაც არაერთხელ დაუდასტურებიათ თავიანთი ერთგულება ამ წესდებისადმი და ზოგჯერ ინგლისის წარმომადგენლებისათვის დაუბრალებიათ; ლიგის წესდებასთან გულცივი დამოკიდებულება, — თუ ეს სახელმწიფოები ამ გადამწყვეტ მომენტში თავის ვალდებულებებს არ შეასრულებენ, ინგლისი თავს თავისუფლად ჩასთვლის თავისი ვალდებულებებისაგან და მის პოლიტიკას კვლავ, ისე როგორც ერთა ლიგის დაარსებამდე, საფუძვლად დაედება მხოლოდდამხოლოდ ინგლისის ნაციონალური ინტერესები. უნდა მიხვდეთ, რომ იმ როლს, რომელსაც ინგლისი კონტინენტის საქმეებში მომავალში შეასრულებს, განსაზღვრავენ სხვა ერები იმ თავისი პოზიციით, რომელსაც ისინი ახლა დაიჭერენ". (ადს).

☐ ☐ ☐

ნანკინის ჯარების მე-110 დივიზიის განადგურება

ბეიპინი, 15 ოქტომბერი. „დაგუნბაოს" ცნობით, მე-67 არმიაში შემავალ მე-110 დივიზიაზე, რომელსაც ხე ლიჯუნი სარდლობდა, ჩინეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს განციუანის რაიონში (შენსის პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი) მოულოდნელად იერიში მიიტანა ჩინეთის წითელი არმიის ნაწილმა ლიუ ცი-ტანის სარდლობით. მთავრობის ჯარი დამარცხდა და დაიხია ჩრდილოეთისაკენ, შეამოკლა თავდაცვის ხაზი და ძალებს იკრებს. როგორც „ტიანძინ შიბაოს" იტყობინება, ამ ბრძოლაში წითელებმა სავსებით მოსპეს მე-110 დივიზიის ორი ლეგიონი. ბეიპინის უცხოელთა წრეების ცნობებით, ჩინეთის წითელმა არმიამ მე-110 დივიზია სავსებით გაანადგურა. (ადს).

საბჭოთა კავშირში

დოკუმენტები ილიჩის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ლენინგრადში

ლენინგრადი, 16 ოქტომბერი. ლენინგრადის ქალაქის მუზეუმმა დაამთავრა დიდი საგამოკვლევო მუშაობა ლენინგრადის ტერიტორიაზე იმ ადგილების დასადგენად, სადაც ცხოვრობდა, მუშაობდა და ემალებოდა მეფის მთავრობის დევნას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. გამორკვეულია 200-ზე მეტი ასეთი ადგილი. შეგროვებულია ლენინგრადში ილიჩის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილების 400 სურათზე მეტი. ამ სურათებს ამზადებენ ცალკე მხატვრულ ალბომებად გამოცემისათვის.

ამხ. მოლოკოვმა დაამთავრა არქტიკის დიდი გადაფრენა

მოსკოვი, 16 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ს. მოლოკოვმა დაამთავრა არქტიკის დიდი გადაფრენა, რომელიც მან წელს ზაფხულში დაიწყო. ამ დღეებში ამხ. მოლოკოვი მოსკოვს ბრუნდება. მოლოკოვმა არქტიკაში სხვადასხვა მარშრუტით თავისი თვითმფრინავით „სსრ H 2" 30 ათას კილომეტრზე მეტი დაჰფარა. აქამდე არცერთ პოლარულ მფრინავს არ დაუფარავს ასეთი მანძილი ერთ გადაფრენაზე. მიუხედავად განსაკუთრებით მძიმე მეტეოროლოგიური პირობებისა (ნისლი, ქარი, წვიმა), ამხ. მოლოკოვმა ბრწყინვალედ შეასრულა ყველა დავალება. (ადს).

მსუბუქი ავტომანქანა „მ—1"

გორკის ავტოქარხანა ემზადება ახალი მსუბუქი მანქანის „მ—1-"ს გამოსაშვებად.

„მ—1" კომფორტაბელური 5 ადგილიანი ჰაერმპობი ფორმის მანქანაა. მისი შასის სიგრძე 215 მილიმეტრით მეტია გორკის ავტოქარხნის ფაეტონის სიგრძეზე. ამის მეოხებით მანქანას უფრო მოხერხებული, მშვიდი სვლა ექნება. სვლა რომ კიდევ უფრო რბილი იყოს, მანქანას უკეთდება 4 სიგრძივი რესორი (ორი განივის ნაცვლად) და, გარდა ამისა, სპეციალური ამორტიზატორები.

ახლანდელ ფაეტონს 40-ძალიანი მოტორი აქვს. „მ—1-"ზე 52- ძალიანი მოტორი დაიდგმება, რაც მანქანის სისწრაფეს საათში 105 კილომეტრამდე გაზრდის. კონსტრუქტორებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ძარის მოხერხებულად გაკეთებას. წინა სავარძელი გადასაწევია. ძარაში ჰაერი იწმინდება.

ბენზინის ბაკი დადგმულია ავტომობილის უკანა ნაწილში. მანქანას შეუძლია წაიღოს 65 ლიტრი ბენზინი, რაც საშუალებას მისცემს 500 კილომეტრამდე იმგზავროს საწვავის შეუვსებლად.

მანქანის 42 დეტალი უკვე წარმოებაშია.

☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐ ☐

მონღოლეთ-მანჯურიის მოლაპარაკება

ულან ბატორი, 16 ოქტომბერი. მიღებული ცნობებით, 2 ოქტომბერს სადგურ მანჯურიაში განახლდა მოლაპარაკება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის და მანჯუ-გოს დელეგაციებს შორის იმ საკითხზე, რომ შეიქმნას შერეული კომისია საზღვრებზე წამოჭრილი კონფლიქტების მოსაგვარებლად და დაინიშნონ ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულნი.

კონფერენციის სხდომებზე, რომლებიც 2, 4, 5 და 7 ოქტომბერს შესდგა, განხილულ იქნა ორივე მხარის მიერ შეტანილი წინადადებანი.

მონღოლეთის დელეგაციამ შეიტანა წინადადება—დაინიშნოს თვითეული მხარის თითო მესაზღვრე რწმუნებული იმ პირობით, რომ მონღოლეთის რწმუნებული მუდამ იმყოფებოდეს სადგურ მანჯურიაში, ხოლო მანჯურიის რწმუნებული—მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ტამსიკ-სუმეში. მონღოლეთის წინადადებით, მონღოლეთის მესაზღვრე რწმუნებულმა სადგურ მანჯურიაში, მანჯურიის ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებთან ერთად, და მანჯურიის მესაზღვრე რწმუნებულმა ტამსიკ-სუმეში, მონღოლეთის ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებთან ერთად, უნდა შეჰქმნან ორი პირველადი ინსტანცია, რომლებსაც გადასაჭრელად გადაეცემა მონღოლეთ-მანჯურიის საზღვრის შესაბამის უბნებზე წამოჭრილი ყველა კონფლიქტი. ამრიგად, მონღოლეთის პროექტი საზღვარს ჰყოფს ორ დიდ უბნად და, იმის მიხედვით, თუ რომელ უბანზე წამოიჭრება კონფლიქტი, საკითხი განხილულ უნდა იქნას ტამსიკ-სუმეში ან სადგ. მანჯურიაში.

შემდეგ მონღოლეთის წინადადება ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ პირველადს ინსტანციაში კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდება, იგი საბოლოოდ გადასაჭრელად გადაეცეს შერეულ სასაზღვრო კომისიას, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის და მანჯუ-გოს მთავრობების დასახელებულ მესაზღვრე რწმუნებულთაგან უნდა შესდგებოდეს.

მონღოლეთის ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს პროექტი სავსებით უზრუნველჰყოფს საზღვარზე წამოჭრილი დავის მოგვარებას და ზუსტად განსაზღვრავს ორივე მხარის რწმუნებულთა უფლება - მოვალეობას.

მაგრამ მანჯურიის დელეგაცია გადაჭრით ილაშქრებს მონღოლეთის წინადადების წინააღმდეგ. მან ხელახლა წამოაყენა ის წინადადება, რომელიც მონღოლეთის მთავრობამ ჯერ კიდევ ამა წლის აგვისტოში სადგ. მანჯურიაში წარმოებული მოლაპარაკების დროს უარჰყო. ეს წინადადება ჰგულისხმობს, რომ ორივე მხარემ დანიშნოს სამ-სამი რწმუნებული, ამასთან მონღოლეთის რწმუნებულები უნდა იმყოფებოდნენ სადგ. მანჯურიასა, ხაილარსა და სინძინში (ჩამჩუნი), ხოლო მანჯურიის რწმუნებულნი — ბაინ ტუმენსა, ტამსიკ - სუმესა და ულან-ბატორში.

მონღოლეთის დელეგაციამ არაერთხელ მიუთითა მანჯურებს, საქმის თვალსაზრისით ზედმეტია თითო რწმუნებულზე მეტის გაგზავნა, და, მეტადრე, არავითარი საქმიანი საფუძველი არ მოიპოება იმისათვის, რომ მესაზღვრე რწმუნებულები, რომელთა ამოცანა მხოლოდდამხოლოდ საზღვარზე წამოჭრილი კონფლიქტების მოგვარებაა, გაიგზავნონ საზღვრიდან ისეთ შორეულ პუნქტებში, როგორიცაა ულან-ბატორი და სინძინი. მანჯურიის დელეგაცია კვლავ კატეგორიულად და ულტიმატიურად იცავს თავის წინადადებას და ზეგავლენის ზომად იმას მიმართა, რომ აღარ გამოცხადდა კონფერენციის სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო 9 ოქტომბერს.

მონღოლეთის დელეგაციის თავმჯდომარე სამბუმ მიაწოდა თავის მთავრობას ინფორმაცია, თუ რა პოზიციას დაადგა მანჯურიის მხარე, რომელმაც მოლაპარაკება შეწყვეტის საფრთხის წინაშე დააყენა. (ადს).

ულან-ბატორი, 16 ოქტომბერი. ადგილობრივ ავტორიტეტულ წრეებში აღშფოთებას გამოსთქვამენ მანჯურიის დელეგაციის და კერძოდ, მანჯუ-გოს მხრივ მოლაპარაკების ფაქტიური ხელმძღვანელის, იაპონელ კანკის გამომწვევი მოქმედების გამო, რადგან მანჯურიის დელეგატებს საშუალება არ აქვთ მოიყვანონ ცოტად თუ ბევრად სერიოზული საქმიანი არგუმენტი მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დასასაბუთებლად, ისინი ცდილობენ აანაზღაურონ თავისი პოზიციის სისუსტე თავხედური და აღვირახსნილი განცხადებებით, რომ შესაძლებელია საზღვარზე ახალი სერიოზული ამბები დატრიალდესო.

კონფერენციის 9 ოქტომბრის სხდომაზე გამოუცხადებლობა საუკეთესოდ ასურათებს იმ მუქარისა და ულტიმატუმების ტაქტიკას, რომელსაც იაპონია - მანჯურიის დელეგატები დაადგნენ.

ამასთან დაკავშირებით აქ დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ კონტრასტს მანჯურიის დელეგატების დაუშვებელ და საერთაშორისო მოლაპარაკების პრაქტიკაში სრულიად უჩვეულო ქცევასა და მონღოლეთის დელეგაციის ღირსებით აღსავსე პოზიციას შორის. მონღოლეთის დელეგაცია, რომელსაც სამბუ მეთაურობს, გულდამშვიდებით და მტკიცედ იცავს თავის საქმიან და დასაბუთებულ წინადადებებს, უგულებელჰყოფს და საკადრის პასუხს აძლევს ყოველ მუქარას. (ადს).

☐ ☐ ☐

აბისინიის დამონების გეგმა

ლონდონი, 15 ოქტომბერი. საღამოს გაზეთები აქვეყნებენ „იტალია - აბისინიის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გეგმას", რომელიც, ჟენევაში მიღებული შეუმოწმებელი ცნობებით, ლავალსა და იტალიის პარიზელ ელჩს განუხილავთ. ეს გეგმა შემდეგ ექვს პუნქტს შეიცავს:

1) იტალიის ჯარები დარჩებიან იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ახლა უჭირავთ.

2) ტიგრეს პროვინციაში შეიქმნება ავტონომიური სახელმწიფო იტალიის პროტექტორატით.

3) ხარარის და ოგადენის პროვინციები იტალიას გადაეცემა.

4) იტალია დათანხმდება, რომ ინგლისმა აბისინიას დაუთმოს ზეილას თავისუფალი ნავსადგური, ამის სამაგიეროდ აბისინია იტალიას დაუთმობს რკინიგზის ზონას, რომელიც ერიტრეას იტალიის სომალისთან აკავშირებს.

5) აბისინიის დანარჩენ ნაწილში დამყარდება ისეთი წყობილება, რომელიც ერთა ლიგის მიერ სექტემბერს გამოყოფილი ხუთთა კომიტეტის მიერ რეკომენდებულის ანალოგიური იქნება, ამასთან იტალიას უპირატესი გავლენა მიენიჭება.

6) იტალია დათანხმდება კონფლიქტის მოგვარებას ერთა ლიგის საბჭოს მეშვეობით. (ადს).

☐ ☐ ☐

იაპონიის საომარი გეგმები

ლონდონი, 15 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის" დაირენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მანჯუ-გოსა და ჩრდილოეთ ჩინეთის სამხედრო ოპერაციების გეგმები, რომლებიც იაპონიის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა, ხელმძღვანელ გენერლებს აუწყეს 13 და 14 ოქტომბერს შემდგარ საიდუმლო კონფერენციაზე (ადს)

ლონდონი, 16 ოქტომბერი. როგორც „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, იაპონიის გენერალთა კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ თუ ნანკინმა თავის „ორპირულ პოლიტიკაზე" ხელი არ აიღო იაპონიის არმია მიიღებს აუცილებელ ზომებს, რათა განდევნოს ჩინეთის ჯარები ხებეის, შანდუნის, შანსის და ჩახარის პროვინციებიდან, გამოჰყოს ჩინეთის რესპუბლიკიდან ჩრდილოეთ ჩინეთი და სამხედრო დახმარება გაუწიოს „ახალ სახელმწიფოს" (ადს).

☐ ☐ ☐

ბრძოლები ქეხეს პროვინციაში

ბეიპინი, 15 ოქტომბერი. როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ქეხეს პროვინციებში იაპონიის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის სერიოზული ბრძოლებია. ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ დაბანაკებული იაპონელთა ჯარები ჩრდილოეთში გაიგზავნენ, რათა დახმარებ, გაუწიონ იმ ნაწილებს, რომლებიც აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებენ (ადს).

☐ ☐ ☐

გერმანიაში „პრავდის" აკრძალვა გააუქმეს

ბერლინი, 16 ოქტომბერი. („პრავდის" საკ. კორ.). ამ რამდენიმე დღის წინათ გერმანიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა რომ გერმანიაში „პრავდის" გავრცელება აიკრძალა. ამასთან დაკავშირებით გერმანიის ავტორიტეტული დაწესებულებებიდან იუწყებიან, რომ ასეთი აკრძალვა მართლაც მოხდა, მაგრამ ამჟამად აკრძალვა უკვე გაუქმებულია.

გ. დმიტრიევი. (ადს).

ამხ. სტალინი პირველი რევოლუციის პერიოდში

ს. წულუკიძე

ი. სტალინი (1905 წ.)

ლ. კეცხოველი

„საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი იყო ამხ. სტალინი ამხ. ს. წულუკიძესთან და ლადო კეცხოველთან და ტფილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (კურნატოვსკი და სხვ.) ერთად“.

ლ. ბ ე რ ი ა

დომენტი ვადაჭკორია

ყოფ. მანთაშევის ქარხნის მუშა

ჩვენი ორგანიზატორი და ბელადი

(მოგონება)

1898 წელს დავიწყე მუშაობა ბათომში, მანთაშევის ნავთის ქარხანაში. მუშაობის პირობები ყოვლად აუტანელი იყო, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული შავ მუშებისათვის, რომლებმაც ხელობა არ იცოდნენ. შავ მუშას ზაფხულობით დღეში 70 კაპ. ეძლეოდა, ზამთრობით კი—60 კაპ. მუშაობა დილის 6 საათზე იწყებოდა და საღამოს 6 საათზე თავდებოდა.

ქარხანაში ნოქრები ყოვლისშემძლენი იყვნენ. ქარხნის პირობები იმდენად აუტანელი იყო, რომ ახლად მოსული მუშები ვერ უძლებდნენ, ქარხნიდან იპარებოდნენ, და „ხაზეინის“ სასარგებლოდ ხშირად ორი-სამი დღის ნამუშევარს სტოვებდნენ. ამის საწინააღმდეგოდ ადმინისტრაციამ ზომები მიიღო — ჰკეტავდნენ ქარხნის კარებს. პურის გაყიდვა შიგ ქარხანაში მოაწყეს, რომ მუშა გარეთ არ გასულიყო.

ასეთი შემთხვევა მახსოვს: ერთი მუშა გაპარვას აპირებდა. მივიდა ქარხნის გალავანთან და გადახტომა მოინდომა. ეს შეამჩნია ნოქარმა; გაექანა დასაჭერად, მუშამ გადახტომა მოასწრო, მაგრამ წაიქცა და ფეხი მოიტეხა.

ქარხანა თავისი პირობებით ძალიან წააგავდა საპყრობილეს, განსხვავება ის იყო რომ საპყრობილეში ძალით ათავსებდნენ ხალხს, ქარხანაში კი თავის ნებით მოდიოდა მუშა. ვინაიდან გაჭირვება ერეკებოდა აქეთკენ.

მუშები ამ მდგომარეობას ღვთისგან დაკანონებულად სთვლიდნენ და ხმაამოუღებლივ ემორჩილებოდნენ. ვერც კი წარმოედგინათ, რომ ამის შეცვლა შესაძლებელი იყო.

1901 წლის მიწურულს მოდის ჩემთან კოწია კანდელაკი, რომელიც კაპლანის ქარხანაში მუშაობდა, და მეუბნება: ამ საღამოს ბინა მონახე და მოიყვანე რამდენიმე მუშა, სანდო პირები, რომელთაც კარგად იცნობ. ინსტიქტიურად ვიგრძენი, რომ იმ რაღაც საიდუმლოებაზეა ლაპარაკი, რომლის შესახებ ინტელიგენტები ლაპარაკს ვერ ბედავდნენ. კანდელაკს ვუთხარი, ჩემ ოთახში ვიქნებით მეთქი.

კრებაზე მოვიწვიე: პავლე დოლუბაძე, პავლე ბალანჩივაძე, ანდრო გაბუნია, ქარცხია, მიხა გაბუნია და ვლადიმერ ჯიბოტი. ესენი რომ მომყავდა ჩემს ოთახში, კოწია კანდელაკი შემხვდა და მითხრა: „გაიარეთ ცოტა და უკან დაბრუნდითო“. როდესაც დავბრუნდით, გვითხრა: „დღეს კრება არ შესდგება და მუშები გაუშვიო“. მეც ვაცნობე მუშებს, რომ კრება გადადებულია. ამის შემდეგ კ. კანდელაკი მეუბნება: „კრება სახვალიოდ მოიწვიე, ოღონდ ქარცხია არ მოიყვანო, საეჭვო პირიაო“.

სოსომ თურმე დაგვათვალიერა და ქარცხია არ მოიწონა. (სოსოს ეჭვი გამართლდა: ქარცხია (მედროვეების უსტაბაში იყო) ჯაშუში გამოდგა და, მოკლულ იქნა). მაშინ მე და ჩემი ამხანაგები სოსოს არ ვიცნობდით. მეორე დღეს მოვიყარეთ თავი. კანდელაკმა კრებაზე სოსო მოიყვანა. ამხანაგმა სოსომ აგვიხილა თვალები: აგვიხსნა ის, რაც მანამდე ჩვენთვის გაუგონარი და გაუგებარი იყო. დაგვისახელა ჩვენი მდგომარეობის მიზეზი. გველაპარაკა იმაზე, რომ ჩვენი მტერი უშუალოდ ბურჟუაზიაა, მაგრამ ბურჟუაზიის დამცველია არსებული ხელისუფლება. ვისაც მტრის მოშორება სურს, პირველ ყოვლისა მტრის დამცველს უნდა გამოუცხადოს ომიო.

ამ პირველი კრების შემდეგ მთლად გამოვიცვალეთ. ჩვენ უკვე პროფესორებად გვგონია თავი. მეორე დღესვე გავაჩაღეთ პროპაგანდა-აგიტაცია ქარხნის დანარჩენ მუშებში. ქარხნის პირობები ჩვენს ნათქვამს ადასტურებდა, კვერს უკრავდა, ამიტომ ჩვენი სიტყვები საკა მუშების გულს და სულს ღრმად ჩასწვდა.

უფრო კარგად რომ დაგვეკავშირებინა მუშები, ერთ საღამოს შევაგროვეთ ფული და ყველა ეროვნების 150-მდე მუშა, ქალაქგარეთ, მამაჯანოვის რესტორანში წავედით. იქ გავმართეთ ვახშამი, რომელზედაც ერთმანეთს ამხანაგობა შევფიცეთ.

1902 წელს იანვარში, სოსოს რჩევით, პირველად გავბედეთ და ერთ კვირა დღეს სამუშაოზე არ გავედით. ადმინისტრაცია ასეთ ურჩობას ჩვეული არ იყო. ამიტომ ძლიერ გაუკვირდა ჩვენი საქციელი: — მუშების ბინებზე ზოგთან—ქარხნის დარაჯები გაგზავნა, ზოგთან—„გოროდოვოები“, ზოგთან—სტრაჟნიკები; ყველასგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო: „დღეს კვირაა, მოსვენების დღეა და ამიტომ არ ვმუშაობთო“.

ამ პირველმა გამარჯვებამ მუშები გაათამამა. — მათ დაინახეს, რომ თურმე შეიძლება ამ აუტანელი პირობების წინააღმდეგ ხმის ამოღება და მდგომარეობის გაუმჯობესება. პირველმა გამარჯვებამ ნიადაგი მოუმზადა ჩვენს შემდგომ ბრძოლას.

რაღაც უბრალო მიზეზით ადმინისტრაციამ დაითხოვა სომეხი მუშა. მუშებმა ერთხმად მოითხოვეს მისი დაბრუნება. ადმინისტრაციამ ამას ყური არ ათხოვა. ამიტომ მუშებმა თავი მიანებეს მუშაობას. ეს მოხდა დილის ათ საათზე. გაფიცულ მუშებს ქუჩებში პოლიციელები იჭერდნენ, მაგრამ დაჭერილ მუშას ათი სხვა მუშა აედევნებოდა, და პოლიციელებს ეუბნებოდა,— ჩვენც დაგვიჭირეთ. სოსომ დაგვარიგა, ასე მოიქეცითო.

დირექტორი ტერ-აკოპოვი ამან დააფრთხო და ტფილისში გადიმალა. ამ გაფიცვისათვის დაიჭირეს 30 მუშა და გაგზავნეს საპყრობილეში. დარჩენილებმა, სოსოს ხელმძღვანელობით, მეორე დღეს შევადგინეთ მოთხოვნილება და წარვუდგინეთ ქარხნის ადმინისტრაციას. მოთხოვნილებაში შემდეგი მუხლები იყო: დაპატიმრებულების განთავისუფლება, ჯამაგირის მომატება, ზრდილობიანი მოპყრობა, სადილზე ორი საათის დასვენება, საუზმეზე ნახევარი საათი, გადახდილი ჯარიმის ანაზღაურება, გაცდენილი დღეების ხელფასის ანაზღაურება, და ქარხნის ხარჯზე ხელსაწყოს შეძენა.

გაფიცვა კარგა ხანს გაგრძელდა. ბათომის კომიტეტი გაფიცულებს დახმარებას უწევდა.

ადმინისტრაცია იძულებული იყო დათმობის გზას დადგეს. ტფილისიდან ჩამოდის ტერ-აკოპოვი. მას თან ახლავს მანთაშევის ტფილისის კანტორის მთელი ადმინისტრაცია, იწყება მოლაპარაკება. სანამ ყველა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს, მუშაობა არ დავიწყეთ. ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნილების გარდა, ყოველ დაპატიმრებულ მუშაზე ადმინისტრაციას გადავახდევინეთ 30 მანეთი. ამის შემდეგ მუშაობა განახლდა.

ადმინისტრაციასთან მოლაპარაკება რომ გვქონდა, გამეცნო ერთი კაცი, რომელმაც ქართული კარგად იცოდა. წამიყვანა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქციაში, რომელსაც იმ დროს განთქმული შავრაზმელი პალმე რედაქტორობდა; იმ კაცმა მთხოვა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებაზე მასალა მომეცაო. ეს ამბავი ვაცნობე სოსოს, რომელმაც მთხოვა მეჩვენებინა ის პიროვნება. ერთ ქუჩაზ გავატარე ის პირი, რომ სოსოს დაენახა. სოსომ დაათვალიერა და შემდეგ მითხრა: „საეჭვო პირია“! სოსოს გამოცნობის გასაკვირველი უნარი ჰქონდა. მისი ეჭვი აქაც გამართლდა: ეს კაცი ბოლოს გოროდოვოის ფორმაში ვნახე. შემდეგში იგი გრიგოლ კიშმარეიშვილმა მოკლა.

1902 წელს (თვე არ მახსოვს) ერთი სომეხი მუშა მოკვდა. ეს რომ სოსომ შეიტყო, გვირჩია ეს სიკვდილი გამოგვეყენებინა საგიტაციოდ. კომიტეტის ხარჯზე ვიყიდეთ კუბო, ვიქირავეთ ვაგონი და დიდი პროცესიით მივაცილეთ რკინიგზის სადგურზე თავის სამშობლო მხარეში წასასვენებლად. ხალხი განცვიფრებაში იყო ასე დიდძალი მუშას, რომ ხედავდა, გამვლელები კითხულობდნენ: „ვინ არის“-ო, ჩვენი პასუხი იყო—„საწყალი მუშა“.

ამავე ხანებში როტშილდის ქარხანაში დაიჭირეს მუშები. ამის გამო 7 მარტს, ღამე, სოსომ მოიწვია კომიტეტის სხდომა. კომიტეტში შედიოდნენ: სოსო, ბეგლარ მელია, ილარიონ დარახველიძე, ფილიპე ქიქავა, მე (სხვები არ მახსოვს). ამ სხდომაზე სოსომ წინადადება შემოიტანა— გაფიცულიყვნენ ყველა ქარხნის მუშები და მოეთხოვათ როტშილდის ქარხნის მუშების განთავისუფლება. ხოლო თუ მთავრობა ამას ნებით არ იზამდა, ძალით გაგვენთავისუფლებია. სამწუხაროდ იარაღი არავის ჰქონდა. მეორე დილით მუშების ერთი ნაწილი, სოსოს მეთაურობით, დაიძრა, მივიდა პოლიცმეისტერის სამმართველოში და დაპატიმრებულთა განთავისუფლება მოითხოვა. მაგრამ ამხანაგები თურმე იქ არ ყოფილან დაპატიმრებულნი, მაშინ საპყრობილისაკენ გავწიეთ. როდესაც საპყრობილის შენობას გავუსწორდით, დავუშინეთ ქვები. ეს გუბერნატორის ყურამდე მივიდა. გუბერნატორი მოვიდა ჯარით. ჩვენ მას მოვთხოვეთ—ან დაჭერილები გაენთავისუფლებია, ან ყველანი დავეპატიმრებინეთ. გუბერნატორმა სამი საათის ვადა ითხოვა, ტფილისს მოველაპარაკებიო. ჩვენც მოვუცადეთ. სამი საათის შემდეგ მოვიდა და გვითხრა: „ტუსაღებს ყაზარმაში გავგზავნით, ხვალ 12 საათზე კი გავათავისუფლებთ“. გაიღო საპყრობილის კარები და გამოიყვანეს ტუსაღები. ისინი ყაზარმამდე მივაცილეთ, როდესაც ყაზარმაში შედიოდნენ, რამდენიმე მუშა შეჰყვა შიგ. ეს იყო 8 მარტს, დღის დაახლოებით სამ საათზე.

ამ დღეს საღამოს სოსომ მოიწვია კრება და გვითხრა: „ჩვენ გვატყუებენ, დაპატიმრებულებს ხვალ 12 საათზე არ გამოუშვებენ, თუ ჩვენ არ ჩავერიეთ საქმეში. ამისათვის საჭიროა მუშები მივიდნენ ყაზარმაში და ძალით გაათავისუფლონ ამხანაგები“. მე ამ აზრის წინააღმდეგი ვიყავი. ვამტკიცებდი, რომ ეს გამოიწვევს სისხლის ღვრას და მუშებს დააფრთხობს. სოსომ ხელი წამკრა და მითხრა: შენ არ ხარ რევოლუციონერი. ეს ვიწყინე. (შემდეგ დავრწმუნდი, რომ სოსო მართალი ყოფილა). უმრავლესობა სოსოს მიემხრო. მეორე დღეს, 9 მარტს, მოხდა მუშების შეტაკება პოლიციასთან, სისხლი დაიღვარა.

ბათომის კომიტეტის ხარჯზე მოეწყო დახოცილი მუშების დასაფლავება. 9 კუბო ერთად გავასვენეთ. დასაფლავებაზე ყველა ქარხნის მუშები იყვნენ. პროცესიას ქალაქგარემდე მიჰყვებოდა კაზაკების რაზმი. გზადაგზა მუშებში ვრცელდებოდა სოსოს გამოშვებული პროკლამაციები. პროკლამაცია ნაბეჭდი იყო. ამ ფურცლის შინაარსმა დიდი გავლენა მოახდინა წამკითხველებზე. პროკლამაცია წყევლა-კრულვას უთვლიდა თვითმპყრობელობას; ქება-დიდებას ასხამდა იმ ძუძუს, რომელსაც ბავშვობისას სწოვდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული მუშები.

9 მარტის ამბავმა მართლაც დიდი გარდატეხა მოახდინა მუშების განწყობილებაში, სოსოს სიტყვები სავსებით გამართლდა: მოძრაობა უფრო გაფართოვდა. ქარხნის ადმინისტრაციაზე ამან ისე იმოქმედა, რომ საგრძნობლად დაკარგა მმართველობის უნარი: მუშების მიღება-დათხოვნა ჩვენს ხელში გადმოვიდა, ჯამაგირი მოგვიმატა, შემოიღეს საექიმო დახმარება, ავადმყოფობის დროს ჯამაგირის მიცემა და სხვა...

მალე სოსო ბათომში დააპატიმრეს, შემდეგ ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ კი გადაასახლეს ციმბირში, ციმბირიდან სოსო გამოიქცა და ჩამოვიდა ბათომში. ჩემს ბინაზე მოიყვანა კანდელაკმა. ერთ თვეს ცხოვრობდა ჩემს ბინაზე და განუწყვეტლივ აწყობდა ფარულ კრებებს. შავი ჩოხა ეცვა და გრძელი ბეწვიანი ქუდი ეხურა.

სოსომ მიამბო, თუ როგორ მოახერხა ციმბირიდან გამოქცევა. თურმე სოსოს ერთი ციმბირელი „ისპრავნიკის“ ყალბი მოწმობა გაუკეთებია. მატარებლით რომ მოდიოდა, გზაში აეტორღიალა ვიღაც საეჭვო პიროვნება, სოსოს ფიქრით ჯაშუში. იმ მიზნით, რომ თავიდან მოეშორებინა ეს პირი, სოსო ჩამოსულა ერთ-ერთ სადგურზე, ყალბი მოწმობა უჩვენებია ჟანდარმებისათვის და მოუთხოვია ამ საეჭვო პიროვნების დაპატიმრება. ჟანდარმს ეს პირი მართლაც დაუკავებია და სანამდის გაერკვეოდნენ მის ვინაობაში, მატარებელი უკვე დაძრულა სადგურიდან.

ასე მოხერხებულად მოიშორა სოსომ თავიდან ეს საეჭვო პირი...

ეკ. ავალიანი—შირიაევისა

ამხ. სტალინი ბათომში 1902 წელს

(მოგონება)

ობლობისა და სიღარიბის მწარე დღეებს განვიცდიდი.. არავინ მყავდა ისეთი, რომ დამხმარებოდა. 1900 წელს შემთხვევით ჩავედი ბათომში ერთ ჩემ შორეულ ნათესავთან.

ჩასვლისთანავე დავიწყე სამუშაოს ძებნა, რომ საკუთარი შრომით მეშოვნა ლუკმა პური. რამოდენიმე დღის შემდეგ ვიშოვე სამუშაო ერთ მკერავ ქალთან. მძიმე შრომაში შეუმჩნევლად გადიოდა დღეები. დავუახლოვდი მუშებს. ზოგიერთი მათგანი მიკითხავდა წიგნებს.

პირველ ხანებში წარმოდგენაც არ მქონდა, შეეძლო თუ არა პროლეტარიატს რევოლუციის მოხდენა. ახლაც თვალწინ მიდგანან იმდროინდელი მუშები, მათი ბნელი ნესტიანი ბინები, რომლებშიც ცხოვრობდნენ ისინი თავიანთი წვრილი ცოლშვილით. ზოგიერთი მუშა მძიმე შრომით ნაშოვნ ფულს ღვინის სმაში და ქაღალდის თამაშში ფლანგავდა.

მუშათა მთავარ უბნებში, (ბარცხანა, „გოროდოკი“, „ნოვი სვეტი“, „ლიმონ მელიე“) ბევრი სამიკიტნო იყო, რაც ზოგიერთ მუშის გალოთებას უწყობდა ხელს. მუშების უმრავლესობას წიგნზე წარმოდგენა არ ჰქონდა. იშვიათად ნახავდით ისეთ მუშას, რომ წიგნით დაინტერესებული ყოფილიყო. ვინც იცოდა კითხვა, ისიც საზღაპრო წიგნებს ეტანებოდა.

ეგნატე ნინოშვილის სიკვდილის შემდეგ მუშებს აღეძრათ ერთგვარი ინტერესი ჟურნალ - გაზეთებისადმი. მაგრამ ფაბრიკანტებისაგან შევიწროვებულთ კითხვის საშუალება არ ჰქონდათ, ისინიც უსიტყვოდ განაგრძობდნენ აუტანელ შრომას. ასეთ პირობებში იყო მუშათა უმრავლესობა, როდესაც ბათომში ჩამოვიდა უდიდესი ორგანიზატორი და რევოლუციონერი ამხ. სტალინი.

ეს იყო 1901 წლის ნოემბრის დამლევს. ხშირად მუშები მოვიყრიდით ხოლმე თავს და დავიწყებდით საუბარს იმ უცნობზე, რომელიც მეტად უბრალო ტანისამოსში იყო გამოწყობილი, დადიოდა მუშებში და ამხანაგურად ესაუბრებოდა არსებული აუტანელი პირობების შესახებ. ყოველ მათგანს აინტერესებდა სოსოს გაცნობა. ერთ საღამოს ჩემ ოთახში მოხდა კრება. ამ კრებაზე ამხანაგებმა სოსო გამაცნეს. ამხ. სტალინმა ბათომში ჩამოაყალიბა პარტიული ორგანიზაციები და დარაზმა მუშები...

7 მარტს მოხდა მუშათა პირველი გაფიცვა ბათომში. ეს ამბავი საჩქაროდ ეცნობა მთავრობას. მთავრობამ იმ ღამესვე დაიწყო მუშათა უბნების ჩხრეკა და დაპატიმრება. დააპატიმრეს 21 მუშა. 8 მარტს დილის 10 საათზე ოთხასზე მეტი მუშა, რომელთა უმრავლესობა როტშილდის ქარხნიდან იყო, გაეშურა ციხისაკენ შემდეგ მოთხოვნილებით: ან გამოუშვით ჩვენი დატუსაღებული ამხანაგები, ან ჩვენც მათთან დაგვატუსაღეთ. ბათომის პოლიცმეისტერი და გუბერნატორი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, გაეფანტათ დემონსტრატიულად მოსული მუშები. მაგრამ მუშები არ იშლებიან და დაჟინებით მოითხოვენ ამხანაგების განთავისუფლებას. ეს ამბავი გაგრძელდა საღამოს ოთხ საათამდე. მთავრობის ადმინისტრაცია გამოდის და მოუწოდებს მუშებს: ვინაიდან აქ ციხეში ადგილი არა გვაქვს, ამისათვის დაპატიმრებულებთან ერთად გადაგგზავნით „პერესილნი ყაზარმაში“-ო. ასეც მოხდა. ამ დროს იღება ციხის კარები, დატუსაღებულებს უერთდებიან მისულ მუშებს და სტრაჟნიკებით გარშემორტყმულნი მიჰყავთ „პერესილნი ყაზარმაში“.

8 მარტს საღამოს ამხ. სტალინის წინადადებით გადაწყდა, რომ 9 მარტს ყველა ქარხნის მუშების მონაწილეობით უნდა მოხდეს დემონსტრატიული გამოსვლა იმავე მოთხოვნილებით. დილის 9 საათზე ყველა ქარხნის და სახელოსნოს მუშები, შვიდი ათასამდე კაცი, მიაწყდა ყაზარმას. ისინი მოითხოვდნენ დატუსაღებული ამხანაგების განთავისუფლებას. მე შორიახლოს მივყვებოდი მუშებს, რადგან ქალის გამოსვლა ასეთ შემთხვევაში სამარცხვინოდ იყო მიჩნეული. ჩემს მეტი არცერთი ქალი არ სჩანდა, რაც უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა. დემონსტრაცია მშვიდი ხასიათს ღებულობდა, მუშათა რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა. ბათომის ადმინისტრაციამ ჯარს განკარგულება მისცა, რომ მუშებისთვის ესროლა. განკარგულების შესრულებაზე ჯარის მეთაურს თურმე უარი განუცხადებია. ამიტომ ის იმ წუთშივე მოხსნეს თავისი ჯარით. მას სცვლის შავრაზმელი ანთაძე. ანთაძის მისვლა და მუშების სროლის ატეხა ერთი იყო. მუშებმა უიარაღოდ გაუწიეს წინააღმდეგობა, მოგლიჯეს სარები, კეტებით და ქვებით იგერიებდნენ მტერს. შეტაკების დროს მოკლულ და დაჭრილ მუშათა რიცხვი 52-ს შეადგენდა. მათ შორის 13 მკვდარი აღმოჩნდა, დანარჩენი დაჭრილნი და დასახიჩრებულნი იყვნენ.

ამ დროს ჩემთან მოვიდა სამი ქალი: ანიჩკა მენაბდე, ნატალია კირტავა, მესამის გვარი არ მახსოვს. სროლის დროს ქალებმა ეზოს შეაფარეს თავი; როდესაც სროლა გათავდა, ისინი ჩემთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას დაჭრილ-დახოცილი მუშების მოვლა - პატრონობაში.

როდესაც 9 მარტს, სროლის შემდეგ მივედით იმ ადგილას, სადაც სისხლი დაიღვარა, სტალინმა აღელვებით სთქვა:

„სისხლიანი 9 მარტი, ამხანაგებო, ჩვენს ისტორიაში წითელი ასოებით ჩაიწერება. აი აქ, ამ ადგილზე, აიგება ძეგლი სისხლიანი 9 მარტის მოსაგონებლად“.

ვ. ბერიძე

ლიმმანტრესტის მმართველი.

ციტრუსოვნების საბჭოთა მეურნეობის საბრძოლო ამოცანები

ამხ. ლ. ბერიას მითითებები ჩვენთვის ციტრუსოვანი კულტურების განვითარების და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცების სამუშაოთა პროგრამას წარმოადგენს, ამ მითითებათა განხორციელებით ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებს სათანადო მიღწევები აქვთ.

ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომლებსაც არაერთხელ უნახავთ ამხ. ლ. ბერია პლანტაციებში, ცალკე ციტრუსის ხეებთან და მიუღიათ მისგან სათანადო დირექტივები, მუშაობას ეწევიან შემდეგი ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად.

ციტრუსოვნების საბჭოთა მეურნეობების მუშაობის იმ სიმაღლეზე აყვანა, რომელიც მათ ნამდვილად გახდის იმის მაჩვენებლად, თუ როგორ უნდა იქნეს დაყენებული ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების ყოველი ხის კულტურულად მოვლა.

საბჭოთა მეურნეობებში შრომის მართებულად მოწყობა, მუდმივ მუშათა კადრის შექმნა, მათი კვალიფიკაციის აწევა და ტექნიკის დაუფლება;

ლიმმანტრესტის სისტემის ხაზით ციტრუსოვანი და სუბტროპიკული სანერგეების ისეთი ტემპით განვითარება, რომ შეიქმნას ნერგების საჭირო ფონდი როგორც იმ რაიონებისათვის, სადაც უკვე მიმდინარეობს ციტრუსების გაშენება, ისე კოლხიდის ამოშრობილი დაბლობების ასათვისებლად.

მტკიცე ფინანსური დისციპლინის დამყარება საბჭოთა მეურნეობაში, ისე, რომ მიმდინარე წელი დავამთავროთ საწარმოო გეგმების შესრულებით, სრულიად გადაუხარჯველად.

ამ ძირითადი ამოცანების განხორციელების ირგვლივ არის დარაზმული ჩვენი სისტემის ყველა სასიცოცხლო ძალა.

ციტრუსოვანთა ყოველი ხის კულტურულად მოვლის მხრივ, საუკეთესო მაგალითებს იძლევა აჭარისტანში ალამბარის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი—ამხ. მინაშვილი, უფრ. აგრონომი ს. მეგენაძე); ცეცხლაურის მეურნეობა (დირექტორი ამხ. ახობაძე, უფრ. აგრონომი ჩიტაიშვილი); გონიოს მეურნეობა (დირექტორი ამხ. შ. მანჯგალაძე, უფრ. აგრონომი სალუქვაძე); გალის რაიონში კოხორას მეურნეობა (დირექტორი ამხ. გაბუნია) და მახარაძის რაიონში ურეკის მეურნეობა (დირექტორი ამხ. მაისურაძე და უფრ. აგრონომი ქარცივაძე).

ალამბრის საბჭოთა მეურნეობამ თავისი მუშაობის ცენტრი თვითეული ხის მოვლაზე გადაიტანა. ნაკვეთები და ცალკე ხეები მუშა-მებაღეებს მიამაგრა; სავსებით უკუაგდო მეურნეობის პლანტაციებისადმი საერთო შაბლონური ხელმძღვანელობის პრაქტიკა და შემოიღო როგორც სისტემა ყოველი ხის მდგომარეობის შესწავლა და ყოველი ხის ინდივიდუალური მოვლა. ამის შედეგად მეურნეობის პლანტაციები საუკეთესოდ გამოიყურებიან. ლიმონის ეს ახალგაზრდა მეურნეობა წელს სახელმწიფოს პირველად აბარებს ლიმონის მოსავალს.

პლანტაციების კულტურულად მოვლის საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს პერსონალური პასუხისმგებლობა და გაპიროვნების ამომფხვრა მეურნეობაში. ამიტომ ციტრუსების ყველა მეურნეობაში უკვე ტარდება, ზოგან კი გატარებულია ნარგავთა პასპორტიზაცია. მათი დანომრვა და, რაც მთავარია, ნარგავთა მდგომარეობის ზუსტი შესწავლის შემდეგ აქტით მისი გადაბარება მუშა-მებაღეებისათვის, მოვლაზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაწესებით.

პასპორტების შედგენისას მასში აღინიშნება ხეების რაოდენობა, ყოველი ხის ჯიში, წლოვანება, ხარისხობრივი მდგომარეობა, გამოიყოფა დაავადებული ხეები, რომლებსაც დამატებით ღონისძიებები ესაჭიროებათ გამოსაჯანსაღებლად.

პასპორტიზაციის გატარება, კონკრეტულად და გარკვეულად უსახავს ყოველ მუშა-მებაღეს ცალკე ხის მიმართ საჭირო ღონისძიებების გატარებას ამ ხეთა მდგომარეობის მიხედვით.

თუ პასპორტიზაციის გატარებამდე ლაპარაკი იყო პლანტაციის ზოგად მდგომარეობაზე, ახლა უკვე ყურადღება ექცევა ყოველ ცალკე ნარგავს. მაგალითად, ისეთი მოწინავე საბჭოთა მეურნეობა, როგორიცაა ცეცხლაურის მეურნეობა, კონკრეტულად ზრუნავს ყოველ ნაკვეთსა და ცალკე ხეზე. აქ მთელი პლანტაციის ნაკვეთი, ცალკე ხეების მდგომარეობის ზუსტი აღრიცხვით, სათანადო აქტით ჩაბარებული აქვთ მუშა-მებაღეებს, რომელთაც ეკისრებათ მოვლის პერსონალური პასუხისმგებლობა.

მაგალითად ცეცხლაურის მეურნეობის მუშამ სიმონ ჩირინიშმა, ნარგავების აქტის ჩაბარების შემდეგ განაცხადა:

— აქტით ნაკვეთის და ხეების ჩაბარების შემდეგ მე უკვე ვიცი, თუ რაზე უნდა ვაგო პასუხი, სად და რაზე უნდა ვიმუშავო ხვალ, რა იარაღი მჭირდება სამუშაოს შესასრულებლად და, რაც მთავარია, ყოველდღიურად პირადად ვხედავ და ვამჩნევ ჩემს ნაკვეთზე გაწეული მუშაობის შედეგებს. წინათ კი, ხან ერთ რაიონში მიხდებოდა მუშაობა, ხან მეორეში. გადამიყვანდნენ ხოლმე, ჩემს მიერ დაწყებულ სამუშაოზე სხვას აყენებდნენ და ამიტომ ჩემი ნამუშევრის შედეგებს ვერც მე, ვერც სხვა ვერ ვამჩნევდით და ვერ ვაფასებდით.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება ვერ გადაიღო ზოგიერთმა მეურნეობამ, აქა-იქ ადგილი აქვს პლანტაციების გაშენება-მოვლის საქმეში დანაშაულებრივ დაუდევრობას. ასეა, მაგალითად ბიჭვინთის საბჭოთა მეურნეობაში. აქ სრულიად უყურადღებოდ მიატოვეს პლანტაციის მოვლის საქმე და არ ზრუნავდნენ არათუ ყოველ ხეზე, არამედ თვითონ სრულიად უპატრონოდ ჰქონდათ მიტოვებული პლანტაციის ცალკე ნაკვეთები: აქ მასობრივად დარგეს დაზიანებული და წამხდარი ნერგები. ყოველივე ამას მოჰყვა ნარგავების უმეტესი ნაწილის დაღუპვა. მაგალითად, დაიღუპა ციტრუსოვნების 7.980 ძირი, 46.6 პროცენტი მთელი რაოდენობისა; ტუნგო—2.553 ძირი, 96,5 პროცენტი, ქარსაცავი ნარგავები — 4.425 ც. 75.7 პროც., ფეიხოა—481 ც. 46,5 პროც.

ამ მდგომარეობას ბიჭვინთის ზოგი მომუშავე ხსნიდა მუშაობის მძიმე პირობებით. ამ მიზეზით თავისმართლების უსაფუძვლობა უკვე დამტკიცდა. მეურნეობაში გაიგზავნენ კარგი მომუშავე ამხანაგები (უფროს აგრონომად კომკავშირის წევრი ამხ. ალანია) მათ გარდაქმნეს მუშაობის მთელი სისტემა, დააწესეს ყოველ დარგში პერსონალური პასუხისმგებლობა, გაწმინდეს მეურნეობა სოციალურად უცხო ელემენტებისაგან. პლანტაციის ნაკვეთები ყოველი ხის მდგომარეობის აღნიშვნით ჩააბარეს მუშა-მებაღეებს, გაატარეს მეურნეობაში საჭირო აგროღონისძიებანი და ორ თვეში შესძლეს მთელი პლანტაციის მდგომარეობის შესამჩნევად გაუმჯობესება.

ასეთივე მდგომარეობა იყო კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ ამხ. ლ. ბერიას მითითებათა დაუყოვნებლივ გატარებისათვის საჭირო ზომების მიღებამ, აჭარისტანის საოლქო კომიტეტის და ქობულეთის რაიკომის ყოველდღიურმა დახმარებამ მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა. კვირიკეს მეურნეობა უკვე დგება მოწინავე საბჭოთა მეურნეობების რიგებში.

„კადრების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საბჭოთა მეურნეობებში, მუდმივი კადრები თუ არ გვიყოლა, ისე ჩვენი საბჭოთა მეურნეობები ვერ იხეირებენ“—აღნიშნა ამხ. ლ. ბერიამ თავის სიტყვაში საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის პლენუმზე 1935 წლ. 31 მაისს. ამ მითითების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებანი უკვე ტარდება ციტრუსოვანთა სისტემის მეურნეობებში.

ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობებში ივლისიდან შემოღებულია შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, ხელფასის და შრომის ორგანიზაციის სისტემის გარდაქმნა ძირითადად გამოიხატა იმაში, რომ მუშები დაყოფილი არიან კვალიფიკაციის მიხედვით სამ კატეგორიად. მაღალი კვალიფიკაციის მუშები (მყნობელები) კი მიჩნეული არიან კატეგორიის გარეშე მყოფებად. შემოღებულია კვალიფიკაციის მაჩვენებელი ცნობარი და ახალი განაკვეთები კატეგორიებად. დაწესებულ დღიურ ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შემოღებულია შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემა.

გატარებულია უბნებზე მუშების მიმაგრება. მიმაგრებული მუშა-მებაღეები თავიანთ უბნებზე ნარგავების (საშუალოდ 1200 ხის) მდგომარეობისთვის სრული პასუხისმგებელი არიან.

ამავე დროს დაწესებულია პრემიები. მოწინავე დამკვრელი მუშები წელიწადში ერთხელ იღებენ პრემიას უმაღლეს კატეგორიაში გადასულ ყოველ ცალკე ხეზე და ამავე დროს მატერიალურად პასუხს აგებენ ხის მდგომარეობის გაუარესების ან სავსებით გაფუჭებისათვის.

გეგმიანი გამოანგარიშებით, ხელფასის სისტემის გარდაქმნის შედეგად საბჭოთა მეურნეობის პლანტაციების და სანერგეების მუშათა საშუალო ხელფასი გაიზარდა 53 პროც. და ამჟამად შეადგენს დღეში 5 მან. 57 კაპეიკს. ნაცვლად 3 მ. 44 კაპეიკისა ხელფასის სისტემის გარდაქმნამდე.

მაგალითად, ცეცხლაურის მეურნეობაში პლანტაციის მუშების ნამუშევარი, ხელფასის გარდაქმნამდე, საშუალოდ დღიურად შეადგენდა 4—80 კაპ. ზედმეტ საათებში ნამუშევრის ჩაუთვლელად. აგვისტოში კი ხელფასის სისტემის გარდაქმნის შემდეგ არის 6—60 კაპ. ცალკე დამკვრელების ხელფასმა კიდევ უფრო იმატა.

ხელფასის ზრდამ გამოიწვია სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების აწევა. ახლა სავსებით შესაძლებელი ხდება ხელფასის პროგრესული სისტემის გატარება, ხელფასის ფონდების გადაუხარჯავად.

იმავე ცეცხლაურის მეურნეობას, როგორც სხვა მეურნეობებსაც, ჰყავს მთელი რიგი მუშა-დამკვრელების, რომლებმაც სოცშეჯიბრში გაიწვიეს სხვა მუშები; ისინი ყველანი მიმაგრებული არიან უბნებზე და გვიჩვენებენ დამკვრელური მუშაობის ნიმუშებს. აი მაგალითად, თედორე მასლოვი, რომელიც მეურნეობაში მუშაობს 1931 წლიდან, მას თავის უბანზე აქვს 1.350 ძირი მანდარინის ხე, კარგად და ვადაზე ადრე ასრულებს მოვლის ყველა სამუშაოს. არა აქვს არც ერთი დაგვიანება და გაცდენა, სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

მებაღეები სტეფანე და ანასტასია დუბიაგები, მეურნეობაში მუშაობენ 1933 წლიდან; თავიანთ უბანზე აქვთ 3500 ძირი ხე. არა აქვთ დაგვიანება და გაცდენა. პეტრე დანილოვი მუშაობს 1934 წლ. აბარია 1300 ნარგავი. სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს ნორმებს.

ყველა ჩამოთვლილ ღონისძიებათა კომპლექსი და აგრეთვე კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ქმნის განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გამოდის ხმარებიდან მუშების საერთო „ბარაკული“ საცხოვრებელი. მათ ნაცვლად აშენებულია და შენდება ინდივიდუალური ბინები (ცალკე ოთახები), სადაც მუშები ცხოვრობენ და იცხოვრებენ თავიანთი ოჯახის წევრებით. წელს მივიღებთ და გადავცემთ მუშებს 24.000 კუბ. მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

მუშათა მუდმივი კადრის შექმნის და მეურნეობებში მათი დამაგრებისათვის განსაკუთრებულ როლს თამაშობს მუშებისათვის ინდივიდუალურ ბოსტნების მოწყობა, ოჯახური მოხმარებისათვის პირუტყვისა და ფრინველის მოშენება. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლევა გრიგოლეთის საბჭოთა მეურნეობა, სადაც თითქმის ყველა მუდმივ მუშას აქვს გაშენებული საკუთარი ბოსტანი, ჰყავს საქონელი და შინაური ფრინველი. ასე მაგალითად: მეურნეობის მუშა-მებაღეს მიხეილ ტარანს ჰყავს სამი ღორი, 6 გოჭი, 15 ქათამი, აქვს საკუთარი ბოსტანი და სხვა სამეურნეო ნათესი. მებაღე მუშას ივანე ციბულკოს ჰყავს 2 ღორი, 6 გოჭი, 10 ქათამი, აქვს ბოსტანი და სამეურნეო ნათესები. ასეთივე მაგალითები გვაქვს ჩვენი სისტემის ცეცხლაურის, ურეკის, მუხაესტატის და სხვ. მეურნეობებში. ამან შექმნა მტკიცე პირობები მეურნეობებში მუშათა მუდმივი კადრების შექმნისათვის.

სერიოზული საკითხია ჩვენი სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვან და ტექნიკურ კულტურათა სანერგეების შემდგომი განვითარება და კოლხიდის დაბლობების ამოშრობა-ათვისებასთან დაკავშირებით კოლხიდის ზონაში ახალი სანერგეების გაშენება.

დასავლეთ საქართველოში კოლხიდის ამოშრობით ძლიერდება ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების განვითარების პერსპექტივები; ამიტომ ახლა საჭიროა ისეთი სანერგეების გაშენება, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლხიდის ასათვისებელ უბნების მომარაგებას ნერგების საჭირო რაოდენობით.

ლიმმანტრესტი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით შეუდგა პირობების მომზადებას ასეთი ტიპის სანერგეების მოწყობისათვის. უკვე შერჩეულია სანერგეთათვის გამოსადეგი ადგილები ანაკლიაში, ქ. ცხაკაიაში (ახალსენაკი) და ხობის რაიონში.

ციტრუსოვნების სტანდარტულ სარგავ მასალის გაზრდას სჭირდება არა ნაკლებ 4 წლისა. ამრიგად ახლადგაშენებული სანერგეები, პროდუქციას მოგვცემენ მხოლოდ 1940 წლის გაზაფხულზე. აქედან ცხადია, რომ კოლხიდაში სანერგეების გაშენებას ბოლშევიკური ტემპები ესაჭიროება.

ამ სანერგეების გაშენებით კოლხიდაში შეიქმნება ციტრუსოვან ტექნიკურ კულტურათა განვითარების მძლავრი ბაზა.

ახლადგასაშენებელ სანერგეებთან ერთად გაფართოვდება არსებული სანერგეები ურეკში, კვირიკეში, გონიოში, ბიჭვინთასა და კოხორაში, რომელთა შორის საუკეთესოდ ითვლება ურეკის სანერგე.

„ტრესტისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში უნდა დამყარდეს მტკიცე საფინანსო დისციპლინა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები რენტაბელური გახდნენ“.

ამხ. ლ. ბერიას ამ მითითების განხორციელებისათვის ზომების მიღების პროცესში გამოირკვა, რომ ამ მხრივ ჩვენი სისტემის მეურნეობაშიაც (ბიჭვინთა, ურეკი) გვაქვს ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენები, მაგალითად, ბიჭვინთის მეურნეობამ ფინანსურ საკითხში ქაოტიურ მდგომარეობის შექმნის გამო წელს გადახარჯა 100.000 მანეთამდე. ეს იმ დროს, როდესაც გეგმის შეუსრულებლობის გამო პლანტაციის ნაწილი დაიღუპა.

ფინანსური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს კოხორის და მუხაესტატის მეურნეობა, სადაც ყველა საწარმოო დავალება სრულდება კარგი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

ყოველი ციტრუსოვანი ნარგავის ინდივიდუალური მოვლის შემოღებით პლანტაციების განსაზღვრულ უბნებზე მუდმივ მუშა-მებაღეების მიმაგრებით, შრომის და აღრიცხვის მართებულად დაყენებით და რკინისებური საფინანსო დისციპლინის გატარებით ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობებში იქმნება მტკიცე საფუძველი უდოტაციო და სრულიად რენტაბელურ მუშაობაზე გადასვლისათვის.

20 წელი ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან

ვაჟა-ფშაველა

გერონტი ქიქოძე

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ვაჟა ფშაველა გარდაიცვალა.

ამ ხნის განმავლობაში ყოველივე რადიკალურად შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში — საზოგადოებრივი ურთიერთობაც, ადამიანის ფსიქოლოგიაც, თვით პეიზაჟიც. ქალაქში ბურჟუაზია მოისპო, ხოლო სოფელში — თავადაზნაურობა და ძველი გლეხკაცობის ზედა ფენა. ინდივიდუალური მეურნეობის ადგილი კოლექტიურმა მეურნეობამ დაიჭირა. ჩქარის ნაბიჯით წინ წავიდა მიწათმოქმედების მექანიზაცია, იქ, სადაც წინათ გუთნისდედისა და მეურმის სევდიანი ღიღინი გაისმოდა, ახლა ხშირად ტრაქტორის ხრიალი გაისმის; გაუვალი ჭაობები და უნაყოფო ველმინდვრები ჩაის, ფორთოხლის და ნარინჯის პლანტაციებმა დაჰფარა. ფშავი საავტომობილო გზამ გადასერა. მთის მწვერვალებს, რომელნიც ვაჟას ასეთი ამაყი და მიუდგომელი მიაჩნდა, თავზე აეროპლანებმა გადაუარეს.

შეიძლება ჩვენი ეპოქა ვაჟას მრავალმხრივ უფრო უცხოდ და გაუგებრად ეჩვენებოდა, ვიდრე თავისი ეპოქა ეჩვენებოდა, რევოლუციის წინადროინდელი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საქართველო, რომელიც თითქო სრულიად დაშორებული იყო მის იდეალებსა და ზნეობრივ შეხედულებებს. ჩვენთვისაც, სოციალისტური საქართველოს მოქალაქეებისათვის, თითქო უცხო და გაუგებარი უნდა გამხდარიყო ვაჟას პოეზია. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ასაკვირველია, ჩვენ ამ დიდი პოეტის მიერ დატოვებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვერ მივიღებთ და არც ვღებულობთ უკრიტიკოთ. მაგრამ იგი დღეს, ისეთივე ცხოველ ინტერესს იწვევს, როგორც უდიდესი ქართველი კლასიკოსები იწვევენ. დევ მეტს ვიტყვით: ის მღელვარება, ის პროტესტისა და თანაგრძნობის სული, რომელიც ვაჟას პირველმა ლიტერატურულმა დებიუტმა გამოიწვია, დღემდე არ განელებულა, თითქო იგი დღემდე ცოცხალია და ჩვენს მებრძოლ რაზმებში დგეს თავისი რაინდული მუზარადითა და თავისი შავქარქაშიანი ხანჯლით.

ამის მიზეზი არ შეიძლება ვეძიოთ მარტოოდენ ესთეტიურ სფეროში. არასოდეს შემოქმედ პიროვნებას, ხელოვნების რა დარგშიც უნდა მუშაობდეს იგი, არ ძალუძს მარტოოდენ მხატვრული მიღწევით აღელვოს და შეაშფოთოს თავისი თანამედროვეები ან, მით უმეტეს, თავისი მომდევნო თაობები: საჭიროა, რომ მან თავის მოქალაქეობრივ მოღვაწეობაში, თავის მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ იდეალებში აღმოაჩინოს ამოუწურველი წყაროები, რომელსაც უდაბნოს ქარავნებივით დაეწაფებიან ისინი, ვინც ულრმეს ადამიანობას არიან მოწყურებულნი. ალფრედ დე მიუსე ლაც ამბობს, პოეტი პელიკანსა ჰგავს, რომელიც მკერდს იპობს და ლს იგლეჯს, რათა მისი ნაფლეთებით თავისი მშიერი ბარტყები გამოკვებოს. ვაჟას ხშირად უხმარია ლოგიური სახეები: მან თავისი ყვა მთიდან გადმომდგარი ხარის რილს შეადარა, ხოლო თავის დაცვლილ მეგობარ ალექსანდრე ყაზბეგზე სთქვა. „იგი ამოლებული ხანჯლით, ცრემლად დამდნარი მტრის ჯავრით დაღლილი გული მივა მამაპაპასთან და სისხლის კალამს უჩუქებსო".

ეს დღეს ვაჟა ფშაველას მიერ დატოვებულ მხატვრულ მემკვიდრეობას ისე არ ვუცქერით როგორც [illegible] ტალს, თუ მის პოეზიაში ცოცხალი სიცოცხლის მაჯისცემას ვგრძნობთ, თუ მას კიდევ უფრო ვაფასებთ, ვიდრე მისი თანამედროვეები აფასებდნენ, ეს, რასაკვირველია, აიხსნება არა მარტო პოეზიის წმინდა მხატვრული ღირსებებით, არამედ განსაკუთრებით იმით, რომ თუმცა იგი თავისი მოქალაქეობრივი იდეალებით და თავისი მსოფლმხედველობით [illegible] დაგვშორდა ჩვენ, მრავალ რამეში მაინც ეხება ჩვენს ეპოქას.

რა ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებას და რას მოვითხოვთ მწერლისაგან, რომელიც საზოგადოებას ასახავს მხატვრულად?

ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს გმირული ბრძოლა ნათელი და უფრო ვაჟკაცური კულტურის დასამყარებლად. გადაგვარებული კაპიტალისტური კულტურისა, ჩვენი ხელოვანი, — მწერალი იქნება იგი, მხატვარი თუ მუსიკოსი, — მოვითხოვთ, რომ გვაგრძნობინოს ამ ბრძოლის ახალი რომანტიკა, მხატვრულად განგვაცდევინოს ის რაინდული, რასაც ამ საზოგადოების ული წევრები ან მთელი ფენები ამჟღავნებენ ან უნდა ამჟღავნებდნენ ახალი ადამიანური იდეალების ბრძოლაში და აი, სწორედ აქ შეიძლება ვაჟა ფშაველას მემკვიდრეობა გამოყენებულ იქნას, რასაკვირველია, მივუდგებით ყალბი იდეალიზაციისა, საღი კრიტიკის თვალსაზრისით ვითვისებთ რაც ცხოველმყოფელია მის მემკვიდრეობაში, ხოლო ვდებთ, რაც იქ მოძველებულია და გამოუსადეგია.

ელი შთაბეჭდილება, რომელსაც ვაჟა ფშაველა იწვევს თავისი ებითა და თავისი შემოქმედებით, არის ვაჟკაცობა, ღრმა და ფაქიზ ემოციურობა, თითქო მასზეა ნათქვამი ლის სიტყვები: „სიმტკიცე ის ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლად ულად". ვაჟკაცურია არა მისი ლიტერატურული ფსევ- , არამედ ვაჟკაცურია მისი ბის გზაც, მისი ლირიკაც, ოსის პერსონაჟიც და ის ზაჟიც, რომელიც მისი შე-

არ წარმოადგენს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. შორეული მაგალითები, რომ გავიხსენოთ, გმირული სულითაა შთაგონებული ჩვენი ძველი ჰაგიოგრაფიული მწერლობა, ყველა იმ მოწამის ცხოვრების აღწერა, რომელნიც ცეცხლის კოცონზე მიდიოდნენ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის; შემდეგ გმირული სულითაა შთაგონებული ჩვენი რაინდული და ისტორიული ეპოსი — „ამირან - დარეჯანიანი", „ვეფხის ტყაოსანი", გურამიშვილის „დავითიანი", იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი", ბოლოს, უახლოესი მაგალითები, რომ დავასახელოთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული", აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი" და სხვ.

მაგრამ კლასიკური ქართული მწერლობა შეზღუდული წოდებრივი და კლასობრივი მორალითაა გაჟღენთილი. ხშირად ის გვიხატავს დისჰარმონიულ ადამიანს, შინაგანი წინააღმდეგობით გათიშული საზოგადოების წარმომადგენელს. ამ მწერლობის ჰეროიკა, უმთავრესად, საეკლესიო მოღვაწეების, ფეოდალური არისტოკრატიის, რაინდული წოდების ჰეროიკაა. თავის თავად ცხადია, რომ ქართველი კლასიკოსები ბურჟუაზიის ან ჩაგრული კლასების მხატვრულ სახეებსაც იძლევიან; მაგრამ, როცა ქართველი კლასიკოსი წარმოშობით თვით არისტოკრატია, ის ბურჟუა - მოქალაქეში მხოლოდ გროტესკულ მხარეებს ხედავს, გლეხში და მუშაში მხოლოდ ბედთან შერიგებას და სასოწარკვეთილებას: მხოლოდ ისეთი მწერლები, რომელნიც ჩაგრული წოდებიდან გამოვიდნენ, გაუბედავად და ეპიზოდურად ასახავენ უბრალო ხალხის გმირობას.

ვაჟა-ფშაველა არაა გაბატონებული კლასის მორალით შეზღუდული მწერალი: არ შეიძლება ითქვას, რომ მისი მსოფლმხედველობა ფეოდალურ - არისტოკრატიული, კლერიკალური ან ბურჟუაზიული იყოს. მაგრამ მეორე მხრივ არც ის შეიძლება ითქვას, რომ ის მტკიცედ და გარკვეულად რომელიმე ჩაგრული კლასის ან წოდების თვალსაზრისზე იდგეს. მართალია, ახალგაზრდობაში იგი ერთნაირი ბუნდოვანი ნაროდნიკული იდეებითაა გატაცებული, მაგრამ მომწიფების ასაკში, რაფიელ ერისთავის უცილობელი ზეგავლენით სწერს „გლეხის სიმღერას", რომლის მოტივი იგივე ბედთან შერიგებაა, ხოლო ძირითადი ჩარჩო იგივე სოფლის შეუშფოთებელი იდილია:

ღმერთმა დამბადა მუშადა,
იმან მიკურთხა მარჯვენა,
უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო,
დ გამოვკვებო ქვეყანა.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ვაჟას არა აქვს თავიდან ბოლომდე მოფიქრებული პოლიტიკური პროგრამა, რომ ის არ არის რევოლუციური სამოქალაქო მოტივების პოეტი ამ ცნების ვიწრო გაგებით, რომ ის, თუ გნებავთ, პოლიტიკურად ოდნავ კიდეც ქანაობს სხვადასხვა თვალსაზრისს შორის; მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ხასიათი და მისი ფილოსოფიური და ეთიკური მსოფლმხედველობა თავისუფალია რყევისა და კომპრომისებისაგან, მისი პოეტური შემოქმედება ნამდვილი ამბოხებაა რევოლუციის წინადროინ-

და, ოდესღაც საუკეთესო ფოლადიდან გამოჭედილი, შემდეგ კი დაჟანგებულს უპატრონობის წყალობით. და ის ოცნებობს ყოველ მხრივ დამთავრებული, შინაგანი წინააღმდეგობით გაუთიშავი ადამიანების განხორციელებაზე:

გულს ნუ გაიტეხ, მეოხანო,
ხმალი აიღე ფხიანი,
მოკეთეს ემოკეთევე
და მტერს მიეცი ზიანი..
რა ტურფა სანახავია
ქვეყანას ჰყავთა მეუფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
განმტკიცებული სოფელი
მტერს რა ლამაზად დახვდება
არსებით განუყოფელი. („მგოსანს").

სამაგიეროდ მისი ეპოსის გმირები მონოლიტური ქანდაკებათა შთაბეჭდილებას ახდენენ: ისინი დევებივით მიაბოტებენ, ხარებივით ბუბუნებენ, ზვავივით მოძრაობენ. ძნელია მათი დაბადება — გარდაცვალების თარიღების და მათი სოციალური ბუნების გამორკვევა. რომელ საუკუნესა და რომელ საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნიან ალუდა ქეთელაური, მუცალი, გოგოთური, აფშინა, ზვიადაური, ჯოყოლა და სხვები? პოეტს, უმეტეს შემთხვევაში, ისინი არ შეუქმნია მარტოოდენ თავისი შემოქმედებითი ფანტაზიით. არც მარტოოდენ თავის გარშემო არსებულ სინამდვილეში დაუნახავს, მას ისინი გამოუწვევია ხალხური შემოქმედების სიღრმეებიდან, ათასწლოვანი ბნელი მითოსიდან. მხოლოდ შემდეგ თითქო მოქანდაკის კვერით და საკვეთით გამოუქანდაკებია და ერთმანეთთან შეუთავსებია თავისი მხატვრული მიზნების მიხედვით. თითქო რაღაც ფანტასტიური „დროების მანქანით" ვაჟას ეპოსი იმ წინაისტორიულ ხანაში გადავყევართ, როცა, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცობრიობა ჯერ კიდევ დაყოფილი არ იყო კლასებად და პირველყოფილი თემი მიწის თემური საკუთრებითურთ საზოგადოების ძირითად ფორმას წარმოადგენდა არა მარტო ძველ კონტინენტზე ინდოეთიდან დაწყებული ირლანდიამდე, არამედ ახალ კონტინენტზეც, ამერიკაშიც.

რაც შეეხება ვაჟას ეპოსის გმირების გვარტომობას, ამის გამორკვევა სრულიად უტყუარად შეიძლება: ისინი ქართველი მთიელები არიან, ფშაველები, ხევსურები, თუშები ან კიდევ კავკასიელი მთიელები—ლეკები, ქისტები, ჩეჩნები და სხვ. განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთი წარმოადგენს მათი მოქმედების რჩეულ ასპარეზს.

როგორც ცნობილია, განსაკუთრებული გეოგრაფიული და ისტორიული პირობების წყალობით ამ კუთხის საზოგადოებრივი განვითარება დაახლოებით სტრაბონის მიერ აღწერილ საფეხურზე შეჩერდა. მართალია, პირველყოფილმა თემმა, ხევისბერებისა და გვარისბჭეების ინსტიტუტმა, საადათო სამართალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ საერთოდ ფშავხევსურეთი გადაურჩა როგორც ქართული ფეოდალიზმის, ისე უცხოელი დამპყრობლების შეტევას, როგორც ზურაბ ერისთავის, ისე შაჰაბაზის რაზმებს, მას არასოდეს არ უტარებია ბატონყმობის მძიმე უღელი და მოუდრეკელი, თავისუფალი სული მოიტანა მეცხრამე-

ციაციამ, ქონებრივმა უთანასწორობამ, გაჩნდა მსხვილი მეცხვარეობა და ქორვაჭრობა, მაგრამ პატრიარქალური წესწყობილების საუკუნოებრივი ნაშთები მთებში იმდენად ძლიერი იყო, ხოლო რუსეთის კანონმდებლობისა და ბიუროკრატიის გავლენა იმდენად სუსტი, რომ ადვილი არ აღმოჩნდა ძველი თემური რესპუბლიკური სულის აღმოფხვრა.

მაგრამ ფშავ-ხევსურეთმა თავისებურება შეინარჩუნა არა მარტო სოციალური და პოლიტიკური წესწყობილების დარგში, არამედ იდეოლოგიის, განსაკუთრებით რელიგიის სფეროშიც. ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ქრისტიანობას და ბოლო დრომდე შეინარჩუნა ბუნების კულტი თავისი კოპალა—იახსარებითა, მუხის ანგელოზებითა, ლაშარის ჯვრებითა, ადგილის დედებითა, მგელუქმეებით და შავეთის, ე. ი. საიქიოს წმინდა სენსუალისტური წარმოდგენით. იქ ბოლო დრომდე არ მოისპობილა აგრეთვე მოგვების, ე. ი. დეკანოზების ინსტიტუტიც. რასაკვირველია, თვით ვაჟა ფშაველა არ შერჩენილა ცრუმორწმუნოებით გაჟღენთილ პირველყოფილ, ტლანქ წარმართობაზე. მაგრამ ამ წარმართული ბუნების კულტიდან იმ პანთეიზმამდე, რომელიც ვაჟას შემოქმედებას უძევს საფუძვლად, დიდი ნაბიჯის გადადგმა არ იყო საჭირო, და ამ ნაბიჯის გადადგმაში მას, როგორც მისი ბიოგრაფები ადასტურებენ, გოეთეს აზროვნების გაცნობამ შეუწყო ხელი.

O

ვაჟა ფშაველა როგორღაც განმარტოებული სდგას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უცილობელია, რომ მასზე ერთგვარი გავლენა მოახდინეს ილია ჭავჭავაძემ თავისი „მგზავრის წერილებით" და რაფიელ ერისთავმა თავისი „სამშობლო ხევსურისათვის". შემდეგ ვაჟას ლირიკაში, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, გაისმის ღრმა ტრაგიკული მოტივები, რომელნიც დავით გურამიშვილის ლირიკის მოტივებს მოგვაგონებს. ბოლოს ყველაზე მეტად ის ალ. ყაზბეგს ენათესავება თავისი სენსუალიზმით და თავისი ტენდენციებით გმირობისა და რომანტიკისადმი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის სენსუალიზმი ავადმყოფურია, მის ჰეროიკასა და რომანტიკას ცოტა არ იყოს ნაძიები ეგზოტიკის ელფერი აქვს.

პირიქით, ვაჟას მგრძნობიარობაში არაფერია ავადმყოფური ან დეკადენტური, მის რომანტიზმში არაფერია ნაძიები ან ძალდატანებული. მისი გმირები მტრებს ებრძვიან, სისხლიდან იცლებიან და იხოცებიან ისევე უბრალოდ და უსიტყვოდ, როგორც ამას მისი დაჭრილი ვეფხები და ფრთამოტეხილი არწივები სჩადიან. ასევე გმირულია მისი მთის პეიზაჟიც, რომელიც წარმოადგენს არა ეგზოტიკურ სათეატრო დეკორაციას, არამედ მღელვარე, შინაგან ცხოვრებით გაჟღენთილ არსებას, ორგანულად დაკავშირებულს მისი გმირების ცხოვრებასთან.

გავიხსენოთ ვაჟას პოემის მთავარი გმირები. თუ მათ ან წარმართების სახელები აქვთ (მაგ., თორღვაი, ზეზვაი, ზვიადაური, ლუხუმი, ალუდა, გოგოთურ, მინდია, სულა და სხვ.) ან ცხოველების (მაგ. დათვია, მგელიკა, ძაღლიკა, ფოცხვერა, ჯიხვაი, კურდღელა და სხვ.), ეს იმი-

მხრივ ვაჟას ლომები, არწივები, შვლის ნუკრები, ხმელი წიფლები, მთის წყაროები, თვით მთები თითქო ადამიანურად გრძნობენ და აზროვნობენ, მხოლოდ მათი სულიერი ცხოვრება რაღაც სიზმრისებურ ბურუსშია გახვეული და ინდივიდუალური შეგნების სინათლით არაა განათებული. გავიხსენოთ რა წარმართული სენსუალიზმით აქვს გადმოცემული ვაჟას სცენები ნადირობიდან, როცა ადამიანი განსაკუთრებით უშუალოდ გრძნობს თავის სიახლოვეს ბუნებასთან. თორღვაი ხარირემზე ნადირობს ყვირილობის დროს. ნადირის მოსატყუებლად იგი ბუჩქნარში ხმელ ტოტს სტეხს და სამჯერ დაიბუხუნებს ფურ-ირემივით:

ფური ვეგონე, მოარდა,
უნდოდა გული ეჯერა,
კინაღართ გამანადგურა,
კინაღ პირდაპირ მეძგერა,
ვაჟკაცის ილეთი მქონდა
სქელი კისერი ელერა („მონადირე").

თვარელი მთელი დღე უშედეგოდ ნადირობს. საღამო ჟამს კლდის პირზე დაჭრილ ვეფხს წააწყდება მოულოდნელად:

— რას უცდი მონადირეო,
დამკარ, ხომ ვეფხიც მხეცია!
— არ დავკრავ, ძმაო, რო მომკლა,
როდი გახლავარ ბეცია!
ეგეც ჩემსავით ნადირობს.
კალთები აუკეცია,
ნადირობაში მაგასაც
მთაბარი დაუკეცია.

თვარელი ჩირქს ამოუფხეკს და ჭრილობას შეუხვევს ვეფხს, მადლობის ნიშნად ეს უკანასკნელი მარეკის როლს ასრულებს და მას ხარირემსა და ხარჯიხვს მოაკვლევინებს („დაჭრილი ვეფხი").

ვაჟას გმირების უბედურება იწყება იმ წუთიდან, როცა ისინი ცდილობენ გადალახონ ბუნებრივი ან ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი ტრადიციები. ტრაგიკულია მინდიას ბედი („გველის მჭამელში") იმიტომ, რომ მან გადალახა ადამიანისთვის მიჩენილი საზღვრები და ქაჯური ნაჭამი შეითვისა, ტრაგიკულია ალუდა ქეთელაურის ბედი, მან თემის ჩვეულება დაარღვია და მარჯვენა ხელი არ მოსჭრა მოკლულ მტერს; ბოლოს ტრაგიკულია ჯოყოლას და აღაზას ბედი („სტუმარ - მასპინძლიდან"). მათ უღალატეს თავიანთ თემს და ქისტების მოსისხლე მტერს მასპინძლობა და ჭირისუფლობა გაუწიეს. თემი შეუბრალებლად ებრძვის თავის განმდგარ წევრს, აძევებს ან ჰკლავს მას. თემის ნებისყოფა უმაღლესი კანონია, მის დასაცავად ხშირად მიცვალებული წინაპრებიც კი გამოდიან. მაგრამ თუმცა ვაჟას ესმის რა ტრაგიკულია თემიდან გამოთიშული და გამდგარი პიროვნების ბედი, მისი სიმპატია მაინც ამ უკანასკნელის მხარეზეა. „ალუდა ქეთელაურში", „სტუმარ მასპინძელში" ვაჟა თავის ტრაგიკულ გმირებთან ერთად ლახავს ვიწრო ტომობრივი და ნაციონალური განკერძოების გრძნობას და ზოგად ადამიანურ თვალსაზრისამდე მაღლდება. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟა უარჰყოფდეს საღ პატრიოტიზმს: პირიქით, მთელი მისი შემოქმედება სამშობლოს ღრმა სიყვარულითაა გაჟღენთილი, ეს სიყვარული ყველაზე უკეთ შეიძლება გადმოიცეს პოეტის სიტყვებით:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

მაგრამ ვაჟა კრიტიკულად ეპყრობა არა მარტო ხალხურ მსოფლმხედველობასა და ზნეჩვეულებებს, არამედ იმ განძსაც, რომელსაც იგი ხალხური ლეგენდისა და მითოსის სალაროდამ სესხულობს. არცერთი ქართველი პოეტი ისე უშუალოდ არ დასწაფებია ქართული ფოლკლორის პირველწყაროებს, როგორც ვაჟა დაეწაფა. ამ გარემოებამ მისი ისედაც საოცარი ლექსიკონი კიდევ უფრო გაამდიდრა კონკრეტული, ძარღვიანი სიტყვებით და გამოთქმებით, მის სახეებს ბიბლიური უბრალოება და მონუმენტალობა მისცა.

მაგრამ როგორც შემცდარია ის შეხედულება, თითქო ვაჟა რაღაც გაუგებარ პროვინციულ ჟარგონზე სწერდეს, ისე შემცდარია ის შეხედულებაც, თითქო მას თავის პოემებში უკრიტიკოდ, პასიურად გადაჰქონდეს ხალხური პოეზიის სიუჟეტი, ტიპები და მხატვრული სახეები. ეს მან ამომწურავად დაამტკიცა თავის პასუხში ილ. ვართაგავასადმი. ვაჟას ამაოდ არ გაუვლია კლასიკური ლიტერატურის სკოლა: მას აქვს კომპოზიციის დიდი გრძნობა, მისი შედარებები მოულოდნელი და ორიგინალურია, მისი სტილი ენერგიული და ლაპიდარულია. ამას ზედ ერთვის არაჩვეულებრივი, თითქმის უბადლო ნიჭი მხატვრული სახეების შექმნაში. მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ მან არ შეიმუშავა თავისი ინდივიდუალური ლექსთწყობა და თავის ეპოსსა და ლირიკაში უმთავრესად ხალხური შაირი გამოიყენა, ცოტა არ იყოს, ერთფეროვანი გახადა მისი პოეტური ენა.

ქართველ კლასიკოსებს შორის ბევრი არ მოიპოვება ისეთი პოეტი, რომელიც ჩვენი თანამედროვე თაობის თვალსაზრისით ვაჟას შეედრებოდეს. ის მრავალმხრივ წასაბაძ ნიმუშს წარმოადგენს, როგორც მაღალი იდეალებისათვის თავგანწირული ადამიანიც და როგორც ხელოვნების დიდი ოსტატიც. მან დაგვანახვა, როგორ ნაყოფიერდება ინდივიდუალური შემოქმედება, როცა იგი კოლექტივის შემოქმედებას ეუღლება, მან გაგვიღვიძა გმირობისა და საღი რომანტიკის სული.

რასაკვირველია, დღეს ჩვენთვის მიუღებელია შური-ძიებისა და სისხლის აღების ადათი, რომელსაც ხშირად მისი გმირები იცავენ; მაგრამ ყველასთვის, ვინც გულგრილად არ უცქერის იმ დიდ სოციალურ ბრძოლებს, რომელსაც თანამედროვე თაობები აწარმოებენ, გასაგები უნდა იყოს ვაჟას გმირების სიმამაცე და მოუდრეკელობა, რასაც ისინი იჩენენ მაშინაც კი, როცა მათ „სტუმარ მასპინძლის" გმირ ზვიადაური-



ვაჟა-ფშაველა

სიმღერა

დაე, აყროლდეს სოფელი,
სრულიად დალრღნან ჭიათა,
ზედ იფარფარონ ოხერზედ
სვავთა უმსგავსო ფრთიანთა.
ჩემი ლამაზიც მკვდარია,
გულს სვავი აზის მცხონარი,
ძუძუს პირს ჩამოჰკლაკვნია
წითელი სისხლის ზონარი.
ვაჰმე, იქნება გულს დარჩეს
წყლულად ეს ბილწის ონარი!
იმ ღვთისგან შაჩვენებულსა —
დაუგლეჯია კაფები,
ნიდაყვის ძირში დაუჭრავ
მის ბროლისფერი მკლავები.
არა, არ მგონის რომ შაგრჩეს,
მაგის სასვავედ გახდომა,
მაგის თვალების ფოფხონის,
თლილი თითების დადგომა...
კიდევაც მოვა, რა ვიცი,
იესო ქრისტეს აღდგომა!..

□ □

---

*) ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი უნდა დაბეჭდილიყო 1886 წ. ჟურნ. „თეატრის" ივნისის №-ში, მაგრამ საცენზურო კომიტეტს სიტყვა აღდგომა საქართველოს განთავისუფლებად უგულისხმებია და აუკრძალავს.

ვაჟას ეს ლექსი და ჩვენი გაზეთის 12/X №-ში დაბეჭდილი ლექსი „ამირანი" აღმოჩენილია ამხ. ხოლ. უბანეიშვილის მიერ. რედ

□ □ □

ვალერიან გაფრინდაშვილი

ვაჟა და ფიროსმანი

ქეჩის ქუდს თავზე დაიკოსებდა
და დადიოდა შავნაბდიანი.
ერთხელ ჩავიდა ვაჟა ქოშებთან,
თან მოიტანა ქროლვა მთიანი.

მას ახლავს მხოლოდ შიო ღვიმელი.
ამჩნევს ფიროსმანი ცუდ ტანსაცმელით.
ვაჟა უცქერის მხატვარს ღიმილით.
უმასპინძლდება შემდეგ სასმელით.

ვაჟას თვალი აქვს ჩამოხეული,
და მაინც არის იგი მინდია.
ფიროსმანს მოსწონს სახე გრძნეული
მაგრამ იმის წინ თითქოს ბინდია.

ვაჟა არ გავდა აზნაურ პოეტს,
თუმცა უყვარდა ლექსთა ყაბახი.
დაშორებულმა ბარს და უცხოეთს —
იწამა მხოლოდ მთის ალაყაფი.

მხატვარმა ვაჟა ისე დახატა,
როგორც არსენა — მთიდან მოსული;
ის ამბოხებულ გმირად გახადა,
ხალხით რომ იყო გარემოცული.

თრთოდა სიმღერა, როგორც ჯეჯილი,
ისმოდა თარის ძახილი ნაზი.
და ვაჟას თვალი ჩამოგლეჯილი
მაინც აფრქვევდა ელვას სიმრავით.

აღარ თავდება წუთი გვიანი.
სჩანს ქეჩიშვილი — ღამის ფირალი.
მაგრამ წამოდგა შავნაბდიანი —
იღვიძებს ქუჩა პირნამტირალი.

ვაჟამ აკოცა შუბლში ნიკალას,
ისევ შეხედა სათნოთ ღიმილით.
შემდეგ გაქცრა მშფოთვარე ქალაქს,
უკან მისდევდა შიო ღვიმელი.

□ □ □

ალ. გომიაშვილი

არწივი

ვაჟა-ფშაველას

ლაშარის ღამე ხეობებს
აწევს ღრუბელის სურებით,—
მთების სიღრმეში ღრეობენ
ფშაველნი და ხევსურები.
დიდხანს გეძებდი... ვერ გნახე—
არწივი თუ ჰყავს ძერასა;
ხევსურთა შორის ეგების
ლუდსა სვამს ცივციველასა.—
შენ კი სადა ხარ! ლაშარის
დიდი ხეობა ზრიალებს,
თითქოს ღრიალებს აშარი,
და ქარიშხალი ტრიალებს.
სადღაც ჯიხვების ჩქამია
და მონადირე ხევს უვლის,—
მდინარესავით ჩქარია
ზვიადაური ხევსური!
იმ ღამეს ადგა ჩარგალი
მაღალი მთების გრუხუნით—
ადგა და გორზე შამდგარი
დიდხანს გელოდა ლუხუმი.
არც მთა, მდინარე, აშარი,
იმ ღამეს არვინ მღეროდა,—
სანთელის შუქში ლაშარი
ხანდახან გამოჰკრთებოდა.
და ღრღნიდა შავი ცოდვაო
აფშინას გულის იარებს,—
„ვახ, მკვდარო ვაჟკაცობაო"—
კვნესა მოჰქონდა მდინარეს.
ბჟუტავდა მკრთალი ნათელი,
მაღალი მთების გრუხუნით,—
და მხოლოდ ღამე ნათევი
დიდხანს გელოდა ლუხუმი.
სანთელს ქარ ემუქრებოდა
და რა იცოდა სანთელით,
რომ სანთელივით ჰქრებოდა
შენი თვალების ნათელი!
გელოდა... არ მოდიოდი
და სდუმდნენ დარბაისლებიც,
შენ ბალახისთვის სტიროდი,
შენზე სტიროდნენ ნისლები.
იმ ღამეს. თვალებ შაველა
ღამე ფშავლებმა დალახეს,—
თურმე კვდებოდი ფშაველა
და გულს იკრავდი ბალახებს.

მხოლოდ დაჭრილი არწივი
შენი ლექსივით მთელია!
ცას სერავს ელვის სარტყელი,
მთებზე ნისლები წვებიან,
დაჭრილ არწივის ბარტყები
მამაცი არწივებია—
გუნდი კლდეებზე გასწივის,
გუნდნი გაფრენას ელიან!..
და დიდებული გრიალით
მდინარემ ხავსი ჩარეცხა—
მდინარე თვირთვილიანი
მოდის და მოეჯარება,—
ჩარეცხა, ჩაალამაზა
ბარისახო, თუ ჯარეგა;
მაღალი მთები დარაზმა
ახალი ზათქის ჯარებად!..
მაშინაც, როცა ელავდა
მთაში მახვილი ვაჟური;
სისხლი დიოდა, ღელავდა,
სისხლი კლდეების ნაჟური.
შენი სიმღერაც აქ არი,
მაგრამ არ არის ურგები.—
ჯერ არ გენახა მანქანით
დაჭრილი მთების ზურგები?
ვაჟავ, მაღალი მთებიდან
სხვა არწივები დგებიან—
გოგოთურ, გაგი, ბერდია
გმირებად იბადებიან!
და სადაც კლდეებზე წივის
არწივი ჯეჯილებიდან;
ცაში ფოლადის არწივი,
არწივებს შეეჯიბრებია!
ჩემი არწივიც აქ არი,
აქვე მაღალი მთებია—
და ვარსკვლავებით ნაქარგი
ჩემს სულშიც ვარსკვლავებია!
ცას სერავს ელვის სარტყელი,
მთებზე ნისლები წვებიან—
ვაჟავ, არწივის ბარტყები,
სამშობლოს არწივებია!..
მაღლა მთებია შატილის
და ავარდნილი მზრიანი—
იხარის ანდამატივით
ვაჟას დეკა და ღვიანი!..

□ □ □

ვაჟა-ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავად

საქ. მწერალთა კავშირმა პოეტ ვაჟაფშაველას ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაში გადაასვენა. ვაჟა დაკრძალულია პოეტ აკაკი წერეთლის გვერდით.

დღეს, 18 ოქტომბერს, დღის 2 საათზე საფლავთან შესდგება მიტინგი და მოხდება პოეტის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა. მიტინგზე სიტყვებით გამოვლენ საქართველოს მთავრობის, მწერალთა კავშირის, სახ. უნივერსიტეტის, საქ. აკადემიის ა.-კ. ფილიალის, სახ. თეატრების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

საღ. 8 ს. სახ. კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) შესდგება ვაჟას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს შვილი. ვაჟას შესახებ სიტყვებით გამოვლენ: ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ა მაშაშვილი, ბ. ჟღენტი ნ. მიწიშვილი და პ. ჩხიკვაძე. ვაჟას ლექსებს წაიკითხავენ: სახალხო არტისტი ა. ვასაძე, ელ. ლორთქიფანიძე, ც. ამირეჯიბი, დამსახ. მსახ. ლამბაშიძე და მ. ლორთქიფანიძე. ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ქართველი პოეტები: პ. იაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, ვ. რუხაძე. ვ. გორგაძე, ნ. ზომლეთელი, ა თმიაშვილი და დ. გაჩეჩილაძე. წაკითხულ იქნება ვაჟას ლექსების თარგმნები სხვადასხვა ენებზე. უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანი წაიკითხავს ვაჟას პოემების და ლექსების საკუთარ თარგმნებს უკრაინულ ენაზე.

ვაჟას შესახებ მოგონებებით გა-

ფოტო. შ. ფურცხვანიძისა.

ფოტო-აპარატით წარჩინებულ ადამიანებთან

1 ამხ. ჩილინგარაშვილი კალინინის სახელობის ქარხნის ძველი მუშაა. 45 წელიწადია, რაც ლითონების ჩამოსხმის საქმეზე მუშაობს. ვინ იცის, რამდენი მოწაფე გაუზრდია იოსებს. იგი დღესაც მხნედ გრძნობს თავს და გულმოდგინედ ასწავლის ახალგაზრდა მუშებს.

სურათზე: წარჩინებული ადამიანი გ. ჩილინგარაშვილი ამოწმებს კომკავშირელების მიერ ჩამოსხმულ ნაწილებს.

□



2 ეს ახალგაზრდა ქალი **ელენე ძნელაძეა**. 12 წელიწადია, რაც აბრეშუმის საქსოვი მანქანებთან ტრიალებს. მუშაობს გულმოდგინედ. აქვს კარგი ოჯახი—ჰყავს პატარა გოგონა ნორა. დილით ბავშვს აბრეშუმის საქსოვი ქარხნის საბავშვო ბაღში სტოვებს. ნორას როგორც წარჩინებული ადამიანის შვილს, მეტი მზრუნველობით ეპყრობიან. ამიტომაა, რომ სამუშაოდან დაბრუნებულ დედას შინ არ მიჰყავს ხოლმე და მოწყენილი სახით გამოიყურება — უნდა კიდევ იხტუნოს და ითამაშოს პატარა მეგობრებთან. ეს სურათიც სწორედ ამ მომენტშია გადაღებული.

□



3 31 წელიწადია, რაც **ალექსი არსენიშვილი** თუჯის ჩამოსხმის საამქროებში მუშაობს. იგი კალინინის სახ. ქარხნის წარჩინებული ადამიანია.

— ალექსი, მოდი ნახე, როგორი ჩამოსხმულია ეს შეკვეთა, ალექსი გაზომე.. მოდი მომეხმარე, ყალიბი დამენგრა.., და ვინ იცის კიდევ რა შეკითხვებით არ მიმართავენ მას. ალექსიც დაკვირვებით უხსნის ყველას თუჯის ჩამოსხმის ტექნიკას.

სურათზე: ამხ. ა. არსენიშვილი ამოწმებს სამუშაოს.

□

4 დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უცხოეთიდან შემოგვქონდა ხალიჩების წარმოებისათვის საჭირო ლითოგრაფიულად შესრულებული ათასფერი რთული ნახატები. სამი წლის განმავლობაში ჩვენი პოლიგრაფიული ქარხნის წარჩინებულმა ადამიანებმა სამაგალითოდ აითვისეს ეს საქმე და დღეს ლამაზად მისრიალებს მანქანის ბორბლებზე ურთულესი ნახატები ძვირფასი ხალიჩებისათვის.

სურათზე: წარჩინებული ადამიანი **რომან საჭერაშვილი** მუშაობის დროს.

□

5 ამხ. **ბესარიონ ახობაძე და გიორგი გლურჯიძე** ტფ. სპისაილენძის საგლინავი ქარხნის ძველი მუშები არიან წარჩინებული ადამიანები. პირველი 31 წელიწადია აქ მუშაობს, მეორე კი —25; ესენი თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან. უყვართ ქარხანა, დაზგები და ახალ მუშებთან საუბარი.

სურათზე: ამხ. ბესარიონ ახობაძე და გიორგი გლურჯიძე ეცნობიან დღიური გამომუშავების ნორმებს.

დღეს იწყება საკოლმეურნეო ბაზრობა

დღეს „დესიმონოვის“, ცენტრალურ და დახურულ ბაზრებზე დილიდან იწყება საკოლმეურნეო ბაზრობა, რომელიც 27 ოქტომბრამდე გასტანს.

პირველ დღეს ბაზრობაზე სავაჭროდ გამოდის ტფილისის რაიონი. კოლმეურნეობებიდან ბაზარზე გასაყიდლად გამოგზავნილი პროდუქტებით დატვირთული ურმების ქარავნების ნაწილი უკვე ჩამოვიდა.

გუშინ დილიდანვე სავაჭრო ორგანიზაციები შეუდგნენ მათთვის სავაჭროდ მიჩენილ კარვებში საქონლის მოზიდვას. სამივე ბაზარზე სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა გამოიტანონ სულ 2.500.000 მანეთის საქონელი.

ბაზრებზე ვაჭრობის მოსაწესრიგებლად გამოყოფილი არიან საბაზრო კომიტეტები, რომელთაც ექნებათ ცალკე ბინები. დაინტერესებულმა პირებმა, კერძოდ რაიონებიდან ჩამოსულმა კოლმეურნეებმა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხების მოსაწესრიგებლად საბაზრო კომიტეტებს უნდა მიმართონ.

დახურული ბაზრის საბაზრო კომიტეტში შედიან: ამხ. ხოჯაშვილი (თავმჯდომარე), ხელაშვილი და გობეჩია.

დესიმონოვის საბაზრო კომიტეტის წევრებმა — ამხ. პერჩიანი (თავმჯდომარე), ავეტისოვი, გულულოვი, დემინიკოვი და იმნაძე.

ცენტრალური ბაზრის საბაზრო კომიტეტის წევრებია — ამხ. იავნეტინსკი (თავმჯდომარე), ოტიაშვილი, გოზალოვი, სარქისოვი და გასპაროვი.

სურსათით დატვირთული ურმები დაიძრნენ რაიონებიდან

საქართველოს მთელი რიგი რაიონებიდან მიღებული ცნობებით, ტფილისის საკოლმეურნეო ბაზრობისკენ უკვე გამოემართნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთული ურმები.

ამასთანავე მიღებულია ცნობები, რომ ტფილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადეს სომხეთისა და აზერბეიჯანის იმ რაიონებმა, რომლებიც ტფილისთან დასამხარი არიან.

□

ოქტომბრის ზეიმის წინ

რესპუბლიკური კომისიის შედგენა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის ზეიმის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისია **ამხ. ფ. მახარაძის** (კომისიის თავმჯდომარე), **გ. ყურულაშვილის, თ. ჟღენტის ა. თათარიშვილის, გ. სტურუას მ. ნიორაძის, სოკოლოვის, სტეფანოვის, მ. გობეჩიას, გოგეშვილის ს. ბუაჩიძის, მილშტეინის და ა. მგელაძის** შემადგენლობით.

კომისიას დაევალა ზეიმის ჩასატარებლად შესაფერი ღონისძიებების გამომუშავება და განხორციელება.

ამავე დროს ცაკის პრეზიდიუმმა საქალაქო საბჭოებს და რაიაღმასკომებს წინადადება მისცა ზეიმის ჩასატარებლად გამოჰყონ ადგილობრივი კომისიები.

ტფილისის კომისია

ტფილისში ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის ზეიმის ჩასატარებლად ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო საქალაქო კომისია ამხ. **მ. ნიორაძის** (თავმჯდომარე), **მ. გობეჩიას, ს. ბუაჩიძის, გ. სტურუას, ახალაძის, სარქისოვის, დემეტრაძის, თვალჭრელიძის, ჩიხლაძის, კარნიცკის, ბუჯიაშვილის, აივაზოვის, შავდიას და შ. წერეთელის** შემადგენლობით.

კომისიამ მოპირკეთების სამუშაოთა კანტორას მიანდო დაამუშაოს და კომისიის უახლოეს სხდომაზევე წარმოადგინოს ქალაქის მხატვრულად მორთვის გეგმა.

□

ტფილისში აშვებული რადიოზონდი დაღესტანში დაეშვა

ა.-კ. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს აეროლოგიურმა ცენტრმა ტფილისში მოაგვარა პროფ. მოლჩანოვის სისტემის რადიოზონდების რეგულარული აშვება ატმოსფეროს ზედფენების გამოსაკვლევად.

რადიოზონდები უკვე აუშვებს 1, 5 და 10 ოქტომბერს. საუკეთესო შედეგები მიღებული იქნა 10 ოქტომბერს, როდესაც 55 წუთის განმავლობაში რადიოზონდი იძლეოდა გარკვეულ და ხმამაღალ სიგნალებს, რომელსაც საუცხოვოდ ღებულობდნენ მიწაზე. 10 ოქტომბერს აშვებულმა რადიოზონდმა მიაღწია 6150 მეტრის სიმაღლეს. ვიდრე რადიოზონდი 5500 მეტრის სიმაღლემდე მიაღწევდა, ტემპერატურის დაცემა თვითეულ 100 მეტრზე უდრიდა საშუალოდ 1 გრადუსს, ამასთანავე დროგამოშვებით შესამჩნევი იყო მისი მკვეთრი ცვალებადობა. უარყოფითი ტემპერატურა დაიწყო უკვე 1000 მეტრის სიმაღლიდან. როდესაც ზონდმა 500 მეტრის სიმაღლეს მიაღწია, დაიწყო ტემპერატურის მკვეთრი კლება. მაგალითად, 6150 მეტრის სიმაღლეზე ტემპერატურა ღამის 12 საათზე უდრიდა 63 გრადუს ყინვას (ამ დროს მიწაზე ტემპერატურა უდრიდა 14,7 გრადუს სითბოს).

საინტერესოა ტფილისში 5 ოქტომბერს აშვებული რადიოზონდის ბედი. ზონდი აუშვეს დილის 5 საათზე. დილის 9 საათზე სოფ. მესკინჯიდან (დოქუზპარინსკის რაიონი, დაღესტნის რესპუბლიკა) 5 კილომეტრის მანძილზე, შალბუზდაგის მთის კალთის სათიბზე მომუშავე 14 წლის მოწაფემ ჰაჯიევერდი ალიევერდიოღლიმ შეამჩნია აპარატი, რომელიც მიწაზე ეშვებოდა. ის შეჯდა ცხენზე და დაეწია აპარატს, რომელიც მაშინვე მიიტანა სკოლაში და შემდეგ პარტრაიკომში.

რაიკომის მდივანმა ამხ. ნაბიევმა დაუყოვნებლივ აცნობა აპარატის პოვნა აეროლოგიურ ცენტრს ტფილისში. მან აგრეთვე აცნობა, რომ აპარატი სავსებით მთელია და დაუზიანებელია, რაც დაადასტურა სპეციალური აქტით მის მიერ შედგენილმა კომისიამ.

აეროლოგიურმა ცენტრმა გადაწყვიტა მისცეს ფულადი ჯილდო შეგნებულ მოწაფეს, რომელმაც დაუყოვნებლივ მიიტანა აპარატი რაიკომში.

ცნობები იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ორი სხვა რადიოზონდი, აეროლოგიურ ცენტრს ჯერ არ მიუღია.

იხსნება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სეზონი



სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ—მოზ. მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახ. არტისტი **ალ. თაყაიშვილი**. თეატრის ხელმძღვანელის მოადგილე სამხატ. დარგში **ბ. გამრეკელი**, რესპ. დამს. არტისტი **ნ. გვარაძე**, კომპოზიტორი **ვ. შავერზაშვილი**.

□ □ □ □ □ □ □

ალ. თაყაიშვილი

რესპ. დამს. არტისტი. მოზარდ მაყ. თეატრის ხელმძღვანელი.

ახალი სეზონის წინ

როდესაც მოსკოვში, თეატრალური ფესტივალის მონაწილენი სახელმწიფო საბავშვო თეატრს ეცნობოდნენ, ერთმა უცხოელმა სტუმარმა, სახელდობრ ცნობილმა ფინელმა კრიტიკოსმა **ტსიკოლამ** განაცხადა:

„საბჭოთა ქვეყნის ბავშვები ბედნიერი არიან, არსად, არცერთ სახელმწიფოში ბავშვებს ისეთი სიყვარულით და ზრუნვით არ ეკიდებიან, როგორც საბჭოთა ქვეყანაში“.

მართლაც, ჩვენს ნორჩ თაობას აქვს მშვენიერი სკოლები, ბაღები, კულტურის პარკები, დრამატიული და კინოთეატრები. ასეთი მრავალმხრივი ზრუნვა ძირითადად ერთ ამოცანას ისახავს: ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ახალი თაობის კომუნისტურ აღზრდას.

თეატრი ბავშვის პოლიტიკური და კულტურული აღზრდის ერთერთი საუკეთესო სკოლაა. სწორედ ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის დიდი ყურადღება, რომელიც ჩვენში მოზარდ მაყურებელთა თეატრებს ექცევა.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი უდიდესი პასუხისმგებლობით ემზადებოდა სეზონის გახსნისათვის.

ეს თეატრი 8 წელიწადია არსებობს. ამ შედარებით მოკლე ხანში თეატრმა ძიების და გარდატეხების შინაარსიანი გზა განვლო. თეატრს არ ჰქონდა გამოცდილება, არ ჰყავდა კარგათ გაწრთვნილი და შესაფერისად აღზრდილი მხატვრული კოლექტივი, არ გააჩნდა ორიგინალური რეპერტუარი. მისი პირველი ნაბიჯებიც ახლად ფეხადგმული ყრმის ბაჯბაჯს უფრო ჰგავდა, ვიდრე წელგაშლილ სიარულს. თეატრი შესაფერის ფორმების ძიებაში ხშირად უშვებდა ფორმალურ შეცდომებს.

თეატრის განვითარების შემდგომ პერიოდს ახასიათებდა მოსკოვისა და ლენინგრადის მოზარდ მაყურებელთა თეატრების ძლიერი გავლენა. ორიგინალური რეპერტუარის უქონლობა საშუალებას არ აძლევდა თეატრს საკუთარი სახე ჰქონებოდა

მესამე, ყველაზე უფრო ცნობილი ეტაპი თეატრისა, ეს არის უკანასკნელი ეტაპი, როცა თეატრი დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას.

რეპერტუარი მკვეთრად შეიცვალა. იგი ორიგინალური პიესებით შეივსო.

წლევანდელ სეზონში დასადგმელად განზრახული პიესების 80 პროცენტს ქართველ საბჭოთა დრამატურგებისა და ქართველ კლასიკოსების ნაწარმოებნი წარმოადგენენ.

თანდათანობით ხორციელდება თეატრის თემატიური გეგმა. სახელდობრ ჩვენ მიზნად ვისახავთ უახლოეს წლებში მივცეთ მოზარდ მაყურებელს რამოდენიმე პიესა საქართველოში კლასობრივი ბრძოლის განვითარების თემაზე. ამ გეგმის შესრულებას თეატრი შეუდგა 1933 წლიდან „**სურამის ციხის**“ დადგმით. წლევანდელ სეზონში განვაგრძობთ ამ გეგმის განხორციელებას. უკვე გვაქვს კლასობრივი ბრძოლის ამსახველი ისტორიული პიესები. მათ შორის აღსანიშნავია პიესა „**ჯანყი**“ (გლეხთა მასობრივი აჯანყების თემაზე).

ამასთან ერთად თეატრი მუშაობს დღევანდელობის აქტუალურ თემებზე. რეპერტუარში შეტანილია სამსონიას „დროშისათვის“ საბჭოთა სკოლის ცხოვრებიდან, გ. ბააზოვის „ქინქარი“, მ. გოგიაშვილის „კვალდაკვალ“ და ს. მთვარაძის პიესა აჭარისტანის დღევანდელი ცხოვრებიდან.

მიზნად დასახული გვაქვს ამავე სეზონში გავაცნოთ მაყურებელს სომეხ კლასიკოსის ოვ. თუმანიანის ნაწარმოები „გიქორი“.

წინა წლებში ჩვენ რამდენადმე შევასუსტეთ მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელსაც წელს განვაახლებთ და გავაძლიერებთ. თეატრთან იმუშავებს პედაგოგიური კაბინეტი, სადაც მიწვეული არიან ტფილისის საუკეთესო პედაგოგიური ძალები.

გასულ წლებში თეატრს შემოღებული ჰქონდა დისპუტები თვითეულ დადგმაზე. წელსაც გადაწყვეტილი გვაქვს პრემიერების ირგვლივ მოვაწყოთ მოხსენებები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

შარშან თეატრმა მომსახურეობა გაუწია 10 ათას ორგანიზებულ მაყურებელს. მიმდინარე სეზონში ტფილისელ პიონერთა და მოწაფეთა შორის გავრცელებული იქნება 12 ათასი აბონემენტი. 222 წარმოდგენაზე 110 ათასი მაყურებელი უნდა გავატაროთ.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა **კ. ს. სტანისლავსკიმ** თქვა: „ბავშვებისათვისაც უნდა ვითამაშოთ ისე, როგორც დიდებისათვის, მაგრამ უფრო ფაქიზად“. ჩვენ სწორედ ამ საფუძველზე ვაგებთ ჩვენს მუშაობას. მოზარდ მაყურებელს ჩვენი თეატრი უყვარს და თეატრიც მთელი თავისი საქმიანობით ეცდება გაამართლოს ეს წრფელი სიყვარული.

ნ. გვარაძე

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

წილად მხვდა დიდი ბედნიერება

33 წელიწადი სცენაზე ვმუშაობ; უკანასკნელი წლების გამოკლებით მე ყოველთვის ვხვდებოდი სრულ ჰასაკოვან მაყურებელს, მასთან დავაჟკაცებულს, ვერც კი წარმოვიდგინა თუ როგორ უნდა მემუშავნა მოზარდ მაყურებელთან.

მაგრამ წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება, — ჩემი შემოქმედებითი უნარი მომეხმარებინა ჩვენი ნორჩი თაობის სოციალისტურად აღზრდის დიადი საქმისათვის. ამ თეატრში ვიგრძენი სითბო, უშუალო პირდაპირობა, რამაც ჩემში უსაზღვრო ხალისი და ენერგია გააღვივა. განახლებას ვგრძნობ, განზე არ ვიყურები.

გულწრფელად მინდა ჩემი გამოცდილება ბოლომდი ამ საყვარელ თეატრს მოვახმარო.

□ □ □ □ □ □



ტფილისის საბავშვო ტექნიკური სადგური. **სურათზე:** ავიო-მოდელისტთა მეცადინეობა.

სასამართლო

ფედიკოს მამის გასამართლება

გურჯაანი, 17 ოქტომბერი (ტელეფონით სპეც. კორესპონდენტისაგან). 17 ოქტომბერს დილის სხდომაზე დასრულდა ბრალდებულ ვალიკო ძაძამიძის დაკითხვა. ძაძამიძე ყოველგვარი ხერხით ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა სასამართლო, თავი მოეჩვენებინა შვილის გულშემატკივარ ადამიანად, მაგრამ პროცესზე ნათლად გამოაშკარავდა მისი თვალთმაქცობა უდავოდ დადასტურდა, რომ ექიმობა თუ ფერშლობა მას მოპოებული აქვს ყალბი საბუთებით და არავითარი ცოდნა, არ გააჩნია. ამ თვალთმაქცს ექიმის ქურქში გახვეულ მატყუარას მხოლოდ დეფიციტური პრეპარატებით სპეკულაცია ეხერხებოდა.

ბავშვისათვის მას არავითარი დახმარება არ გაუწევია, 1929 წლიდან დაწყებული დღემდე.

დიდ ინტერესს იწვევს პატარა ფედიკოს დაკითხვა. იგი ამბობს, რაც მამაჩემმა აქ ილაპარაკა, ყველაფერი ტყუილიაო. სანამ გაზ. „კომუნისტში“ ჩემზე წერილი არ გამოქვეყნდა, მანამდე მას ჩემი ამბავი არ უკითხავს, არც მე და არც დედაჩემმა მისი მისამართი არ ვიცოდითო.

როდესაც იწყება ფედიკოს დედის დაკითხვა, კლუბის ეზოში გაისმის პიონერების საყვირის ხმა. დარბაზში შემოდის პიონერთა დელეგაცია, რომელიც სასამართლოსაგან ნებართვის მიღების შემდეგ ადის სცენაზე. პატარა გოგონა კითხულობს გურჯაანის 3.000 პიონერის სახელით მიმართვას საქართველოს პიონერებისადმი.

დარბაზში სრული სიწყნარეა. აქა-იქ გაისმის დედების ტირილი, მიმართვის იმ ადგილის მოსმენისას, სადაც ლაპარაკია ფედიკოს უმწეო მდგომარეობაზე, დამსწრეთა მეტ ნაწილს ცხვირსახოცები უჭირავს ხელში და ცრემლებს იწმენდს.

პროკურორი აღუთქვამს პიონერებს, რომ მათ მიერ აღძრული შუამდგომლობა სათანადო ორგანოებს გადაეცემა.

დღეს დილით დამთავრდა მოწმეების დაკითხვა. საღამოს დაიწყება მხარეების კამათი.

□

დღეს სტადიონებზე

ფეხბურთი—ა.-კ. პირველობაზე

დღეს, საღამოს 5 სათზე ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყება ა.-კ. სამი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივების შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ფეხბურთელები, რომელთა შეხვედრა ძლიერ დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. გუნდების შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის უძლიერესი ფეხბურთელები.

გასულ წელს ჩატარებულ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა საქართველოს გუნდმა.

კალათბურთი

საღამოს 7 საათზე ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში დაიწყება ტფილისის კალათბურთელთა გუნდების შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დინამოს, პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების უძლიერესი გუნდები.

ველო—მარულა

ამხ. ლ. ბერიას სახელობის ველო-სტადიონზე ტფილისის უძლიერეს ველოსიპედისტებს შორის გაიმართება შეჯიბრება რეკორდების გადალახვაზე. შეჯიბრება დაიწყება საღამოს 7 საათზე.

□

შემთხვევები

#**გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.** შაუმიანის ქუჩაზე მე-6 მარშრუტის ტრამვაის მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა 9 წლის ბავშვი ვ. ი. ვასკოვი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

#**გაუფრთხილებელი სვლა.** ბრძოლის ქუჩაზე მსუბუქი ავტომანქანა № 9—23, რომელსაც მართავდა შოფერი ს. ვ. პალანჯიევი, დაეჯახა 5 წლის ბავშვს გ. რ. მანუკიანს და მძიმედ დააშავა. შოფერი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

□

პარტკალენდარი

1935 წლის 20 ოქტომბერს ნაშუადღევს 4 საათზე, ლითონის კონსტრუქციათა ქარხანაში საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის ლენინიზმის და კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება აწყობს მსმენელთა საერთო საქარხნო კონფერენციას.

ფოტო — შ. ფურცხვანიძისა.

ფოტო-აპარატით ტფილისში



1 სასუქების, აგრონიადაგმცოდნეობის და აგროტექნიკის საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის ტფილისის ლაბორატორია არკვევს ნიადაგის თვისებებს და სასუქების ეფექტიანობას. აქ ამჟამად დიდი მუშაობაა ჩაის და ციტრუსოვან კულტურათა ნიადაგების შესასწავლად.

სურათზე: მეცნიერული კვლევის მუშაკები ამხ. **ზოლოტარიოვა** და **ტერსტეპანოვა** ელექტროდიალიზატორთან.

□

2 თამაზიკო მელიავა თავდაცვა ავიაქიმის № რაზმის წევრია. ის იცინის და მხიარულობს, როცა ყურს მოჰკრავს საგანგაშო სიგნალს; მთელ ეზოს შეჰყრის, სასწრაფოდ გადაიკიდებს თავის პატარა აირწინაღს, მწკრივში დგება და ბრძანებას უცდის.

სურათზე: თამაზიკო მელიავა განგაშის ხმაზე აირწინაღს იკეთებს.

□

3 საქ. მიჯსახკომმა გახსნა ბოსტნეულის, ხორბლეულის და სხვა კულტურათა თესლეულის მაღაზიები, სადაც კოლმეურნენი იძენენ ყველა სახის და ჯიშის თესლეულს.

სურათზე: ცენტრალურ მაღაზიაში (პლეხანოვის პროსპ.) მიღებული თესლების შემოწმება.

□



4 საფეიქრო მრეწველობის ურთულესი მანქანები, რომლებიც აქამდე უცხოეთიდან შემოგვქონდა, დღეს ტფილისის 26 კომუნ. სახ ქარხანაში მზადდება. აქაურმა წარჩინებულმა ადამიანებმა კარგად აითვისეს ეს საქმე და დღემდე გამოუშვეს „სტანდარტის“ და „უნივერსალის“ სისტემის 136 რთული მანქანა. ენტუზიასტებმა აითვისეს ბამბის მრეწველობისათვის საჭირო მანქანები „ლც—1“ და ამ დღეებში 4 ცალს გამოუშვებენ.

სურათზე: 26-ის სახ. ქარხნის მუშა ამხ. **როდიონოვი** მანქანების აწყობაზე.

□

5 დამთავრდა ტფ. სამხედრო კომისარიატის ახალი სახლის მშენებლობა და მასში პირველად შევიდნენ 1913 წელში დაბადებული ახალწვეულები

სურათზე: ტფ. სამხ. კომისარიატის ახალი შენობა.

□

6 კიროვის სახ. ახალ ბაღში გაუმწვანებელი კუთხე აღარ დარჩენილა; მთელი ბაღი ათასფერ ყვავილებში და მარად მწვანე ნარგავებშია. ამ რაიონის მოსახლეობისათვის ბაღი კულტურულ დასვენების კუთხედ გადაიქცა.

სურათზე: ბავშვები ახლად დარგულ ყვავილებთან.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

დღეს 9 აბონ. 1 წარ.	19 ოქტ. 10 აბონ. 1 წარ.	20 ოქტ. 11 აბონ. 1 წარ.
აიდა	ჩიო-ჩიო-სან	რიგოლეტო
აიდა—ე. იურინა	ჩიო-ჩიო-სან — ელზა ბიუხელი.	ჯილდა—ე. ისკანდაროვა.
ამნერისი—გ. შარატა-დოლიძე.	სუზუკი—ე. დოლგოვა.	მადლენა—ა. სტეპანიანი.
რადამესი—ნ. ქუმსიაშვილი	პინკერტონი—პ. ყვარელაშვილი.	ჰერცოგი—ბალაშოვი
ამონასრო—პ. ამირანიშვილი	შარპლესი—გ. ვენაძე.	რიგოლეტო—მ. გრიშკო.
რამფისი—ვ. შარაშიძე	დირიჟორი—პაულ პელლა	სპარაფუჩილე—ვ. შარაშიძე
დირიჟორი—ევგ. მიქელაძე		დირიჟორი—ა. კაპულსკი.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ყველა გამოცხადებული წარმოდგენის ბილეთები იყიდება. აბონენტებს, რომელთაც მე ორი გადასახდელი არ შეუტანიათ, წარმოდგენაზე არ შეუშვებენ. ყველა სერიის აბონემენტი ინდივიდუალური გაყიდვა ყოველდღე, დილით 11-დან 2 საათამდე საღამოს 6-დან 9 საათამდე.

რუსთაველის თეატრი
1935—36 წლ სეზონი

წარმოება-დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულების

ძიებით მუდმივი ადგილების გაცემა იწარმოებს 16—20 ოქტომბრამდე თეატრის ბუხჰალტერიაში საღამოობით 6—10 საათამდე.

ბილეთების მიღებისას საჭიროა წარმომადგენლებმა თან იქონიონ მინდობილობის ბარათი.

სეზონის გახსნა 26 ოქტომბერს

394 6-5 დირექცია.

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის
სეზონის გახსნა
18 ოქტომბერი აბონემენტს გარეშე
მ. ჯავახიშვილი.
არსენა მარაბდელი
პიესა 4 მოქ. 10 სურ გადმოკეთ. ს მთვარაძის და ბ. გამრეკელისა.
დადგმა რესპ. დამსახ. არტისტის ალ. თაყაიშვილის და ა. ყარახაშვილისა
მხატვარი ნ. ყაზბეგი, მუსიკა ვ. შავერზაშვილისა
ბილეთები თეატრის სალაროში დასაწყისი 8 საათზე.
9890 თეატრის ადმინ. შ. ქურდიანი.

ოქტომბერი
6-30, 8-30, 10-30

დამკვრელი სახ. სახაფხ.
6-30, 8, 9-30.

თემქი სახაფხ. ბილივ.
8-30, 10-30

რ. ლუქსემბურგის სახ
6-30, 8, 9-30, 11

[illegible] სახაფხ.
7-20, 9, 10-30

„26“-ის კომ. სახ
7, 8-30, 10

კომინტერნი სახაფხ. (დიდუბეში). 7-30, 9-30

ახალი ხმოვანი ფილმი
სადგვარი

ახალი მხატვ. სურათი საქკინმრეწვის ნაწარმოები
მდინარის იქით სცენარი—მოხაშვილ ს. რეჟისორი—შ. ბერიშვილი ოპერატორი—ვ. კერესელიძე

საზღვარგარეთული ხმოვანი ფილმი პეტრ პეტერი

ახალი ხმოვ. ფილმი მეფე და მწყემსი

ახალი ხმოვანი ფილმი
მდინარის იქით

საზაფხ.—მხატვ. სურ. დიკშიკარიკის ჩანთა
საზაფ.—ხმოვანი ფილმი ჰეპო

ხმოვანი კომედია მხიარული ახალგაზრდობა

საქკვებვაჭრობა
ა.-წ. 18 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე ხსნის საკოლმეურნეო და სადღესასწაულო ბაზრობას

ვაჭრობა საპროდუქტო საქონლის სრული ასორტიმენტით—საგასტრონომო, საკონდიტროთი, რძის ნაწარმით, საპნით, პაპიროს-ასანთით და სხვა იწარმოებს ქ. ტფილისში

შემდეგ მაღაზიებში:

№ 7—პუშკინის ქ.;
№ 8—შაუმიანის და წინანდლის ქ. კუთხე;
№ 9—სატყეო ინსტიტუტთან;
№ 10—ლენინის ქ. № 8;
№ 11—დახურული ბაზარი;
№ 13—პუშკინის ქ.;
№ 14—დესიმონოვის ბაზარი;
№ 15 დესიმონოვის ბაზარი;
№ 18—ცენტრალური ბაზარი;
№ 19— ომუნალური ქ. № 101;
№ 23—მელიქიშვილის ქ.
№ 25—ბრძოლის ქ. № 157;
№ 28—სამხედრო საავადმყოფოს პირდაპირ.
№ 33—პუშკინის ქ

რაიონებში ბაზრობა გაიმართება 28 ოქტომბრიდან შემდეგ ქალაქებში: ბათომში, სტალინისში, ახალციხეში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზუგდიდში, თელავსა და ფოთში.

401 საქკვებვაჭრობის დირექცია

მეუღლე ეკა, შვილები: ვერა, ლიზიკო, ტარასი, ლადიკო, რძლები: სონია, ქეთო აბზიანიძეები; სიძეები: მიშა ძაგნიძე, საშა ჯობაძე, ანდრო კოპაძე იუწყებიან მამის
სარდიონ დიანოსის-ძე აბზიანიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 19 ოქტომბერს 5 ს. პეროვსკაიას ქ. № 17
9881

ექიმი ვალერიან იოსების-ძე აბზიანიძე მეუღლით ალექსანდრათი, დედით მარიამით და შვილით გიათი აცხადებს ძვირფასი ბიძის
სარდიონ აბზიანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 6 ს. გამოსვენება 19 ოქტომბერს 5 ს. პეროვსკაიას ქუჩა № 17 (ყოფ. ანასტასიის).
9881

მეგობრები: ნინა ჰუმბაძე, მედეა კეკელია, ტანია ჩხაიძე, ტონია ოდიშარია, გიორგი ლომაძე, შურა ჩოლაშვილი, მიშა ბორჩხაძე, ილუშა ჰუმბაძე, ვახტანგ ჟღენტი იუწყებიან ელისო გელაშვილის დედის
ბაბოს
გარდაცვალებას.
9882

ქეთო და ლადო საბაშვილები შვილებით ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ უსაყვარლესი
ციცილია ივანეს ასულ საბაშვილის
უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა 20 ოქტომბერს, ბათომში. ენგელსის ქ. № 35 .
9885.

შვილები: ექ. სიმონი, ვანო, ვასილი, გორია შარიქაძეები აუწყებენ საზოგადოებას.
ხოხო გიორგის-ძე შარიქაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ს. ლეღვაში, ხარაგოულის რაიონი, 19 ოქტომბერს.
9889

დამწუხრებული მშობლები: ლიდა, ივანე, ძმები: გიორგი, ილიკო, გიგლა; რძლები: მაყვალა, დარეჯან, ძმისწული ირაკლი საბაშვილები იუწყებიან სახ. უნივერსიტეტის 1 კურსის სტუდენტის უძვირფასესი
ციცილია ივანეს ასულ საბაშვილის
დაკარგვას.
9885

დამწუხრებული: მეუღლე ოლღა, შვილები: ბაბუცა, თამარა, ქეთო, ნიკოლოზ, ვახტანგ; სიძე შალვა ჯაფარიძე, შვილიშვილები: ეთერ, შაქრო, სოსიკო, იუწყებიან დაუვიწყარი
ალექსი ნიკოლოზის-ძე კვანტალიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, ორჯონიკიძის ქ. № 52.

დამწუხრებული დაი მარგალიტა, სიძე მელენტი, უახლოესი მეგობარი ელენა, დისშვილები: ფუცუ, თალიკო ჯაყელები იუწყებიან მათთვის საყვარელ
ციცილია ივანეს ასულ საბაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ბათომში, 20 ოქტომბერს, 4 ს.

მშობლები: თამარ, საშა, ძმა ვახტანგი, და ცისანა, ბებია ელისაბედ ბიძები: იუსტინე, ივანე აბულაძეები ცოლშვილით, ბებია ეკატერინე, დეიდა თინა ქოიავები იუწყებიან დაუვიწყარ
რეზიკოს
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში.
9890

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გორის წყალთა რაიონის უფროს ამხ. პარმენ გელაშვილს მისი მეუღლის
ბაბო გელაშვილის
გარდაცვალების გამო.
9867